...ალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

შაბათი, 24 აგვისტო 1918 წ.

# ერთობა

ფასი 40 კაპ.

გაზეთის ფასი: 1 თვით 9 მანეთი. ცალკე ნომერი ყველგან 40 კაპ. განცხადების ფასი, როგორც პირველ გვერდზე, ისე მეოთხეზე, პეტიტის სტრიქონი—1 მან. სამგლოვიარო განცხადება 15 მან. საჩქარო განცხადება უნდა მოტანილ იქნას არა უგვიანეს დილის 12 ს. ხელმოუწერელი წერილები არ იბეჭდება. დაუბეჭდავ საგაზეთო მასალას რედაქცია არ ინახავს, ავტორებს უკან ვერ დაუბრუნებს და ამის შესახებ არც მიწერ-მოწერას კისრულობს.

ხელის მომწერლებმა ფული შემდეგი ადრესით უნდა გამოგზავნონ: Тифлисъ, почт. ящ. 199. Редакція „Эртоба". სხვა ადრესით გამოგზავნილ ფულს რედაქცია ვერ მიიღებს.

რედაქციაში პირადათ მოლაპარაკება შეიძლება 10—12 საათამდე. რედაქციისა და კანტორის ადრესი: თფილისი, გოლოვინის პროსპექტი № 12. Тифлисъ. Головинскій проспектъ № 12).

ტელეფონი 16—62.

№ 179 ორგანო ამიერ-კავკასიის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციებისა № 179

...ხერის რაიონში მომქმედი გურიის საგანგებო რაზმი ღრმა მწუხარებით ...უწყებს ამხანაგებს, რომ პერევ ხახიეთში ბრბოებთან შეტაკების დროს ...მირულათ დაეცა ბრძოლის ველზე საყვარელი ამხანაგი და თავგანწირული მებრძოლი პოდპ.

მარკოზ გოგიჩაიშვილი

(2—2)

...ოტშაბათს, 15 აგვისტოს (ძველი სტ.), დილის 11 საათის ნახევარზე ქა...ლაქ სურამში, ღვთაების ეკლესიაში დანიშნულია ნახევარი წლის წირვა ...და პანაშვიდი უდროოთ დაღუპულის მესამე გიმნაზიის მერვე კლასის მოწაფის დაუვიწყარი

მარუსიასი

...ასაც გულდათუთქული მშობლები იაგორ ამბაკოს ძე და ნინა ბესარიონის ასული, ძმები ილიკო და შალვა იაგორის ძენი და ნატალია იაგორის ასული მახარაძენი აუწყებენ ნათესავთ, ამხანაგთ და ნაცნობთ.

...ღრმა მწუხარებით ვაუწყებთ ამხანაგ მეგობრებს ტრაღიკულათ გარდაცვალებას ძვირფასი ამხანაგ მილიციონერის

ისიდორე იოსების ძე სირაძისას

...ისი ამხანაგები გრიშა არჩვაძე და მიხეილ ომიაძე. მიცვალებულს მიხეილის საავათმყოფოდან წაასვენებენ სოფ. ბეგეულში (რაჭა) დღეს, 24 აგვისტოს, ნაშუადღევის 4 საათზე.

...მშობლები იერემია და მარიამ, ძმები ვახტანგ და მიხეილ და რძალი ქეთევან შვილებით გულისაშვილები აუწყებენ ნათესავთ და მეგობართ, რომ ...კვირას, 25 მარიამობისთვეს, დიდუბის ეკლესიის გალავანში, საფლავზე ...გადახდილი იქნება 40 დღის პანაშვიდი სამხედრო გზაზე ბალშევიკებთან ...ბრძოლის დროს გმირულათ დაღუპულ ოფიცერ ბათუმის პარტიზანულ პოლკისა

დიმიტრი (მიტო) იერემიას ძე გულისაშვილის

...სულის მოსახსენებლათ. პანაშვიდი დაიწყება სრულ 12 საათზე, წირვის შემდეგ. ამავე დღეს პანაშვიდი გადახდილი იქნება ს. გიორგიწმინდაშიაც.

## ...ობა და ჩვენი პოლიტიკა

...ენი ტაქტიკის დედა აზრია: ერთად ...ევა, ცალკე სიარულით.

...ენი პარტია განსაზღვრულ საზოგა...ბრივ ჯგუფებს ეყრდნობა. მას სა...არ პროგრამად განსაზღვრული სა...მედო გეგმა აქვს. ამიტომ ის გან...ღვრულ გზით მიდის, ერთს რომე...ე ხაზს მიყვება.

...გრამ არის მომენტი, როცა ჩვენ ...ლებული ვართ ცხოვრების ერთს ...ელიმე მხარეს მივაქციოთ განსაკუთ...ული ყურადღება—და ამ მიზნის მი...ევათ მოკავშირენი ვეძიოთ. როცა ...თავარ მიზანს მივაღწევთ, მოკავში...ი ჩამოგვშორდებიან და ისევ ცალკე ...ხდება სიარული. ამიტომ ჩვენ ...ოდეს არ ვივიწყებთ და არ ვსტოვ...ი ჩვენს დამოუკიდებელს სახეს, ჩვენს ...ტიულ ვინაობას.

...ღეს ჩვენი დემოკრატია არა ჩვეუ...რივ პირობებში იმყოფება: რუსეთის ...ლუწვდენელ სივრცეზე მხოლოდ სა...თველოს ხალხმა შესძლო ჯერ-ჯე...რ რევოლიუციის მონაპოვართა ...ცვა. ამისთვის ის იძულებული გახ...დამოუკიდებლობა გამოეცხადებინა. ...რომ მას აუარებელი მტერი ახვევია ...და მის დამოუკიდებლობას ემუქ...რიან.

...ამიტომ ჩვენი მოქმედების მთავარი ...ძაფი დღეს საქართველოს დამოუ...კიდებლობისთვის ბრძოლაა გამხდარი.

...ა ყველა ის, ვინც ამ დამოუკიდე...ბას მხარს უჭერს, ჩვენი მოკავშირე ...თანამგზავრია, ვინც დამოუკიდებ...ობას ანგრევს, ის ჩვენი მტერია. ამ ...მოებამ გამოიწვია ის ერთსულოვ...ა, რომელმაც ყველა სოციალისტუ...რ პარტიები გააერთიანა, ამ გარემო...ებრალია, რომ ჩვენ ასე სამკვდრო-...სიცოცხლოდ გვებრძვიან ქართველი ...ციონალ დემოკრატები, რომელნიც, ...როგორც მემამულეთა წოდების დამც...ი, ვერ ამაღლდებიან სამშობლოს ...ის იდეამდე, ვინაიდან მათ აღარც ...ქვთ სამშობლო,—მათი სამშობლოა ...ერი და გავლენიანი თავად აზნაუ...ა და ამ წოდების მონა მორჩილი ...რობა.

...როგორც ეროვნულ საბჭოში, ისე ...ერობაში ჩვენ სოციალისტ ფედერა-ლისტებთან და სოციალისტ-რევოლიუციონერებთან ერთად ვმუშაობთ. ასეთია დღეს ჩვენი პოლიტიკური ხაზი. მიუხედავათ ამისა, მომავალ დამფუძნებელ კრების არჩევნებში, შესაძლოა ჩვენ ცალკე გამოვიდეთ, საკუთარი პლატფორმით წარსვდგეთ ამრჩეველთა წინაშე, რაც რასაკვირველია, იმას არ ნიშნავს, ვითომ ჩვენ არ შეგვეძლოს ამ პარტიებთან ისევ შევთანხმდეთ და ერთად ვიმუშავოთ.

სულ სხვაა ერობის საქმე. აქ პოლიტიკას ადგილი არ აქვს ერობა—ეს ადგილობრივი თვითმართველობაა, რომელიც ადგილობრივ ცხოვრებას აწესრიგებს. აქ უმთავრესათ საქმის ხალხია საჭირო. მართალია, ერობა ის ორგანოა ადგილობრივ, რომელსაც დემოკრატიული მთავრობა უნდა დაეყრდნოს; ერობა ისეთი ორგანიზაციაა, რომელიც თუ ვინიცობაა, რეაქცია დადგა, დემოკრატიისათვის დასაყრდნობ ძალათ გამოდგება. ამიტომ არ შეიძლება იმის თქმა, ვითომ ერობა სრულიად პოლიტიკის გარეშე იდგეს. და ამიტომ არის, რომ ჩვენ უარვჰყავით ნაციონალ-დემოკრატებთან შეთანხმება საერობო მუშაობაშიაც.

მაგრამ არ შეიძლება ასევე მოვექცეთ სოციალისტ ფედერალისტებს და სოციალისტ-რევოლიუციონერებს. რაკი ეს ორი პარტია (ჩვენ არ მოგახსენებთ იმ ესერებზე, რომელნიც „ტრუდოვოე ზნამიას" ირგვლივ იყრიან თავს) მტკიცეთ დგას საქართველოს დამოუკიდებლობის ნიადაგზე, ცხადია მათი მუშაობა ერობაში გულწრფელათ იქნება მიმართული დემოკრატიის ინტერესების დაცვისაკენ, რადგან უდემოკრატიოთ წარმოუდგენელია დღეს დამოუკიდებლობის დაცვა.

გარდა ამისა ჩვენ არ უნდა დავივიწყოთ ის გარემოება, რომ საკუთარ ძალებით ვერ შევსძლებთ ადგილობრივ საქმეების კეთებას და სასურველიც არაა ყველა ჩვენი ძალები პრაქტიკულ მუშაობაში ჩავაბათ, რადგან ჩვენ წმინდა პარტიული სამუშაოც ბევრი გვაქვს. ეს კარგათ იგრძნეს გურიის ამხანაგებმა და ერობის არჩევნებში აღნიშნულ პარტიებთან შეთანხმებული გამოდიან. მით უფრო საჭირო იყო საქმიანობის ნიადაგზე შეთანხმება საქართველოს სხვა ადგილებში, მაგალითად გორის მაზრაში და სხვაგან.

ვიმეორებთ, ჩვენ არ მოგვეპოვება საკმაო ინტელიგენტური ძალები, რომ ადგილობრივ საქმეებს გავუძღვეთ და ყველა პარტიულ მუშაკთ ამ საქმისთვის ვერ გავიმეტებთ.

ამიტომ შეცდომათ მიგვაჩნია ზოგიერთ ადგილებში ჩვენი ამხანაგების დამოუკიდებლათ გამოსვლა საერობო არჩევნებში, მით უმეტეს, რომ საოლქო კომიტეტმა უკვე გადასჭრა პრინციპიალურად ეს კითხვა და შესაძლებლათ და სასურველათ სცნო საქმიანობის ნიადაგზე შეთანხმება სხვა პარტიებთან და უპარტიო ჯგუფებთან.

საჭიროა ჩვენმა პროვინციელმა ამხანაგებმა კარგათ გაითვალისწინონ მდგომარეობა და თქვან: სასურველია თუ არა, რომ ყველა ადგილობრივი საქმეები ჩვენ ვიკისროთ. ეს პრინციპიალური საკითხია: დადგა ისეთი დრო, როცა ჩვენ ვალდებული ვართ გავაძლიეროთ პარტიული მუშაობა. ხოლო საერთო საქმეებს, როგორიცაა ადმინისტრაციის მოწყობა, გზების გაყვანა, სკოლების და საავათმყოფოების შექმნა და სხვა—საერთო ძალით უნდა გაუძღვეთ და ყველა მოძრავი და ინტელიგენტური ძალები შემოვიკრიბოთ გარს.

## დამფუძნებელი კრება

საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკა ბრძოლის პროცესში იშვა: 26 მაისს, როცა დამოუკიდებლობის აქტი გამოვაცხადეთ, ჩვენი ქვეყანა ბრძოლის ასპარეზათ იყო გადაქცეული. არა მარტო გარედან გვაწვებოდენ ჩვენ, შინაურობაშიაც ბევრი გვყავდა მოწინააღმდეგე. სომეხი, რუსი და მუსულმანი ნაციონალისტები ჩვენს წინააღმდეგ აშკარათ დაირაზმენ: სომხები და რუსები ბალშევიკურ რუსეთისაკენ მიიწევდენ, რისთვისაც ინგლისის ავანტიურაში ჩაბმას გვიქადდენ, ხოლო მუსულმანები ოსმალეთის ორიენტაციას ადგენ. ასეთ პირობებში საქართველოს დამოუკიდებლობის საქმე ქართველმა დემოკრატიამ იკისრა. ჩვენი პარლამენტი, საქართველოს ეროვნული საბჭოც ამ ცალ-მხრიობის ნაყოფია.

არა ერთი და ორი ისარი გადმოუსვრიათ ჩვენსკენ ნაციონალისტებს: გვეუბნებოდენ საქართველოს ტერიტორიაზე ხომ მარტო ქართველები არ ცხოვრობთ, რომ სხვა ერის წარმომადგენლებს არ იკარებთ ეროვნულ საბჭოშიო.

ჩვენი დემოკრატია, რასაკვირველია, არ მოტყუვდა. უწინარეს ყოვლისა საჭირო იყო იმის გამორკვევა, თუ ვინ არის საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქე. რუს-სომეხ ნაციონალისტებს კი სურდათ ჩვენს პარლამენტში კონტრაბანდათ შემოსულიყვნენ და შიგნიდან ცდილიყვნენ მის დანგრევას.

ჩვენ ამას, რასაკვირველია, ვერ ვიზამდით, დასაკლავ დანას საკუთარ ხელით ვერ გავლესავდით. ჩვენმა საბჭომ უკვე მიიღო კანონი ქვეშევრდომობის შესახებ. დღეს საბჭოს დღიურ წესრიგშია დასმული კითხვა ეროვნებათა უმცირესობის წარმომადგენლობის შესახებ. ახალ კანონპროექტის ძალით ყველა ეროვნებას უნდა მიეცეს წარმომადგენლობა მისი პროპორციის მიხედვით.

ამ რიგათ საქართველოს რესპუბლიკის ყველა ერები შემოვლენ ჩვენს პარლამენტში და ეს უკანასკნელი სახალხო წარმომადგენლობის სრულს სახეს მიიღებს.

მაგრამ ეს არ იქნება უნაკლო წარმომადგენლობა. საჭიროა საყოველთაო, პირდაპირის და თანასწორის კენჭის ყრით არჩეული კრება, რომელიც სავსებით გამოხატავს ხალხის სულის კვეთებას. საჭიროა დამფუძნებელ კრების საქართველოთ მოწყობა. ამ მოკლე დროში ჩვენი მთავრობა იმედია ცხოვრებაში გაატარებს ქვეშევრდომობის კანონს, რომელიც მართალია, მივიღეთ, მაგრამ ჯერ მის განხორციელებას არ შევდგომივართ.

მაშ დავათავოთ ერობის არჩევნები, მკვიდრ ნიადაგზე დავაყენოთ ადგილობრივი ცხოვრება და დამფუძნებელ კრების არჩევნებს შევუდგეთ.

## ქართული თეატრი

(მთავრობის საყურადღებოთ).

დღეს ქართველი ერი მთელი თავისი არსებით ჩაბმულია სახელმწიფო აშენებლობის საქმეში.

მთელი მისი ენერგია, ინტელექტუალური და ქონებრივი ძალები მიმართულია საგარეო და საშინაო საქმეთა მოგვარებისაკენ, რომ ცხოვრება ჩავარდეს ნორმალურ კალაპოტში და ამით მიეცეს ერს საშუალება კულტურულ ზრდა განვითარებისა. ამ გვარად, სახელმწიფო აშენებლობის პროცესი შეიცავს ორ მხარეს: პირველი—წესიერების და მშვიდობიანობის დამყარება, მეორე—რეფორმების შემოღება.

მხოლოდ ეს ორი მხარე არ უნდა იყვეს ერთი მეორესაგან დაშორებულ-დაპირდაპირებული.

მართალია ჩვენი მთავრობა ასე არ აყენებს კითხვას, მხოლოდ პირველი მხარე იმდენათ იქცევს მის ყურადღებას, ენერგიას, რომ სამწუხაროთ კულტურული საქმე ფრიად სუსტობს, ზოგან დაჩრდილულია, ზოგან სრულებით მივიწყებული. ავიღოთ, მაგ. ჩვენი ხელოვნება, კერძოთ თეატრი—ეს საუკეთესო საშუალება ხალხის მორალურ ამაღლებისა, გრძნობების გაკეთილშობილების, საერთოთ ხასიათის სიმტკიცისა.

ეს თეატრი სრულიათ მივიწყებული, უყურადღებოთ მიტოვებული, სადღაც მიგდებულია, მაშინ, როდესაც თეატრის მოგვარება, შესაფერ სიმაღლეზე დაყენება შეადგენს სახელმწიფოებრივ აუცილებლობას განსაკუთრებით დღევანდელ გაბოროტებულ, ბარბაროსულ ხანაში, სადაც ჩლუნგდება გრძნობები, შეუგნებელი, გაუნათლებელი მცხოვრები, მოკლებული კულტურულ ესტეტიურ საზრდოებას, ადვილათ იზიარებს ყოველივე მავნე იდეებს, აზრებს, რითაც აორკეცებს ექსცესებს, უწესოებას—ამ საშინელ მტერს ჩვენი ნორჩი რესპუბლიკისა.

დღევანდელი ჩვენი ქართული თეატრი თითქმის ოპერეტკათ გადაქცეულა. ჩვენი საუკეთესო, საყვარელ მსახიობებს ვასო აბაშიძეს, ელისაბედ ჩერქეზიშვილს, ნიჭიერ არტისტების ტასო აბაშიძეს, იმედაშვილს, რომელნიც თამამად დაამშვენებენ თვით ევროპიულ სცენასაც, სად ვხედავთ დღეს? „არშინ მალალან"-ში მონაწილეობით ართობენ უსაქმო ხალხს.

განა თვით ეს მსახიობები არ გრძნობენ, არ ხედავენ თავის შეუფერებელ მდგომარეობას!

რა ქნან მათ?

სახელმწიფო, საზოგადოება იჩენს სრულ გულგრილობას თეატრისადმი, დახმარება არსაიდან, ყოველივე ესტეტიურს გრძნობებს მოკლებული ხალხი კი ერთობა მარტო „არშინ მალალან"-ით, ძველთაგანი ძველი ვოდევილებით და ფარსებით.

გაქრნენ ჩვენი დრამატურგები. თუ მაინც მოიპოვება, ისიც დღეს პოლიტიკას ჩასჭიდებია. არც ესენი არიან დასამარახი: ვერ ხედავენ თეატრის სიწმინდეს, მის სიმაღლეს, ნამდვილ მელპომენის ტაძარს, სიყვარულს და დაფასებას წმინდა ხელოვნებისა საზოგადოების მხრივ. ხალისი ეკარგებათ.

კიდევაც რომ იშოვებოდეს იდეური, შინაარსიანი პიესა, მაგ. ი. გედევანიშვილისა, იმის დადგმასაც სცენაზე ვერ ახერხებენ უსახსროების გამო.

ასეთ უნუგეშო მდგომარეობაში იმყოფება ქართული თეატრი. ღარიბი რეპერტუარით, სუსტი ორგანიზაციით, დაქსაქსული მსახიობთა ძალებით, უსახსროთ მიტოვებული, ჩვენი თეატრი დაადგა დაქვეითების და გადაგვარების გზას და თუ დროზე და ჯეროვანი ყურადღება არ მიაქციეს, იგი სრულიათ ჩაკვდება.

იქნება კიდევაც ჩვენ ვიყვნეთ მოწამენი იმის, რომ ჩვენი საუკეთესო არტისტები ვნახოთ სადმე კაფე-შანტანებში.

მარტო მაშინ იგრძნობს ჩვენი საზოგადოება, განახლებული ქართველი ერი საშინელ სირცხვილს.

ვინ უნდა იდვას თავზე ჩვენი თეატრის სასურველ ნიადაგზე დაყენება?

რა თქმა უნდა ჩვენმა მთავრობამ.

ყოველ ქვეყანაში არსებობს სახელმწიფოს ხარჯზე თეატრი, ეს სახელმწიფოს თეატრი ხდება ცენტრათ საუკეთესო მსახიობთა და დრამატურგთა ძალების შეჯგუფ-შეკავშირებისა. აქ ეყრება საძირკველი ნამდვილ უმაღლეს ხელოვნებას და აქედან ეგრეთ წოდებული მოძრავი თეატრების საშუალებით ახდენენ სასურველ გავლენას.

ჩვენის აზრით, უპირველეს ყოვლისა მთავრობამ უნდა 1) დაარსოს სახელმწიფოს ფარველობის ქვეშ დრამატიული საზოგადოება, 2) არსებული თეატრი გამოაცხადოს სახელმწიფო თეატრათ, 3) გადასცეს წარმოდგენებისთვის ეგრედ წოდებული სახაზინო თეატრი მთავრობის მიერ საგანგებოთ დანიშნულ პირის განკარგულებაში, 4) დაუნიშნოს თეატრს წლიურათ განსაზღვრული სუბსიდია.

ამ გზით თუ შევძლებთ ჩვენ წამოვაყენოთ ფეხზე დაცემული ქართული თეატრი და დავაყენოთ ის სასურველ ნიადაგზე.

საჭიროა, მცოდნე პირებმა გამოთქვან თავისი შეხედულება, და ამით შეუწყონ ხელი ქართულ თეატრის მოწესრიგების საქმეს.

ქ. კახელი.

## ბაქოს მდგომარეობა

მას შემდეგ, რაც ოსმალთა ჯარები ბაქოს მიუახლოვდენ, ბაქოს საბჭოში თავი იჩინა განხეთქილებამ.

უკანასკნელ დროს ეს განხეთქილება იმდენათ გაღრმავდა, რომ ბალშევიკები იძულებული გახდენ გადამდგარიყვნენ. საბჭოს უმრავლესობამ მათ უნდობლობა გამოუცხადა.

რისთვის?

ბალშევიკებმა ქალაქს საფრთხე ვერ ააშორეს, ვერ მოაწყვეს ქალაქის დაცვა ოსმალთა შემოსევისაგან საკუთარის ძალით და ამავე დროს წინააღმდეგნი იყვნენ შველა ინგლისელებისთვის ეთხოვათ და მათი ჯარები მოეწვიათ.

25 ივლისის სხდომა საბჭომ ამ საკითხის გარჩევას მოანდომა. როცა ბალშევიკების რეზოლიუცია უარყოფილ იქნა, ცენტრალური მთავრობის წარმომადგენელმა ბ ნმა ს. შაუმიანმა შემდეგი სთქვა: „მე თქვენ გეკითხებით,—რა გიხარიათ: ინგლისი თქვენ ჯერ ვერ გიპოვიათ, რუსეთის ცენტრალური მთავრობა კი დაჰკარგეთ. თქვენ ჯერ ვერ გიპოვიათ ინგლისი, მაგრამ ჩვენ კი დაგვკარგეთ. თქვენ იცით, რომ, როგორც ცენტრალური მთავრობის წარმომადგენელი, მე პასუხისმგებელი ვარ ყველა იმ ხელმოწერილ ქაღალდებში, რომლებითაც ჩვენ მივიღეთ რამდენიმე ასი მილიონი მანეთი ფულად და იარაღი მილიარდობით. როგორც საბჭოს მთავრობის წარმომადგენელი, მე პროტესტს ვაცხადებ ამგვარი ღალატის წინააღმდეგ".

რა პასუხი მიიღო შაუმიანმა?

სოციალისტ-რევოლიუციონერი ვალუნცი ამბობს: „აქ ლაპარაკობენ ღალატზე და გამყიდაობაზე. ეს სიტყვები ჩვენ შეგვიძლია იმათ დავუბრუნოთ, ვინც წამოისროლა. დღეს თუ არა, ხვალ ქალაქი ოსმალებს უნდა ჩავაბაროთ ან უნდა გამოვნახოთ სხვა გზა. ჩვენ ვეძებთ ამ გზას და ვიწვევთ ინგლისელებს, რომელთაც ჩვენც ვეძახით იმპერიალისტებს. საკითხი ასე სდგას: ჩავაბაროთ ქალაქი ოსმალეთს, თუ ვეძიოთ სხვა გზა. ჩვენ ავირჩიეთ ნაკლები ბოროტება... რაც შეეხება დახმარებას, უკეთუ რეალური ძალა იქნება რუსეთიდან, რომელიც შეირჩენს ბაქოს, რა თქმა უნდა, ინგლისელების არავითარ მოწვევაზე ლაპარაკი არ შეიძლება. მაგრამ ჩვენ ამაში ღრმათ ვართ დარწმუნებულნი, რომ ასეთი ძალა რუსეთიდან არ მოვა, ვინაიდან რუსეთის ქალაქებში ამ ჟამად გაჩაღებულია სამოქალაქო ომი".

დაშნაკელი არაქელიანცი ამბობს: „ჩვენ ბევრს გვისაყვედურებდენ, რომ ბალშევიკებს მხარს ვუჭერდით, მაგრამ სხვა სოციალისტური პარტიები ზოგნი ნემეცთა ორიენტაციას უჭერდენ მხარს, ზოგნი ოსმალეთისას და სხ. რუსეთის ორიენტაციისა იყვნენ დაშნაკცუტიუნი და ბალშევიკები. როცა ჩვენ ერთის მხრით გვემუქრება ინგლისის ჯარები, მეორეს მხრით ოსმალთა, ჩვენ ნაკლებ ბოროტებას ვარჩევთ ე. ი. თანახმა ვართ მოვიწვიოთ ინგლისელები. ჩვენ ვიცით, რომ უკეთუ აქ შემოვუშვებთ ოსმალთა ჯარებს, დაიწყება ხოცვა ჟლეტა, ამიტომ ვართ ინგლისელების მოსვლის მომხრე. ახლა, როცა დიდი რუსეთი უკვე აღარ არის და აღარ არის მისი მრისხანე ძალა, მტერმა ისარგებლა ამით და ბაქოზე მოდის ყოველის მხრიდან. შაუმიანი ამბობს, რომ ეს ღალატია, მაგრამ მე ვერ გამიგია რას ნიშნავს ეს, როცა პროლეტარიატის სიცოცხლე განსაცდელშია. ეს უნდა აღიაროს ყოველმა გულწრფელმა მუშაკმა. ჩემთვის საძნელოა, რომ აქ ინგლისელები მოვლენ, მაგრამ უნდა ვსთქვა, რომ ინგლისელებს იმიტომ ვიწვევთ, რომ მათ ფრონტზე ებრძოლონ იმპერიალისტებს".

როგორც მკითხველი ამ ამონაწერიდან დაინახავს, თუ დაშნაკელებს და ესერებს დავუჯერებთ,—ბაქოში თურმე შეიძლება ნაკლება ბოროტების შესახებ ლაპარაკი და მისი არჩევა, პროლეტარიატის სიცოცხლის გადარჩენაზე ზრუნვა თუ გინდ პროლეტარიატის სიცოცხლის გადარჩენა შეეძლოს ინგლისის იმპერიალიზმს. მხოლოდ ბაქოში გაიგეს ამ პარტიებმა, რომ დიდი რუსეთი დანგრეულია და მას არავის შველა არ ძალუძს!

როცა საქართველოს აოხრებისაგან გადასარჩენათ, ხალხის ფიზიკური არსებობის შესანარჩუნებლად ჩვენ, ღვთის ანაბარათ მიტოვებულებმა, გერმანიას მივმართეთ და მან გვიხსნა ჯერ-ჯერობით, იმავე „ცოდვებში" გვდებდენ ბრალს ეს პარტიები ჩვენ, რასაც ახლა თვითონ სჩადიან.

მაგრამ მათი ბრძოლის სარჩული ჩვენს წინააღმდეგ ჩვენ ხომ თავის დროზე აღვნიშნეთ. ახალს ახლა, აბა, რას ვეტყვით!

რა გვეთქმის ბაქოს ბალშევიკებზე? არაფერი იმაზე მეტი, რაც არა ერთხელ გვითქვამს: ბალშევიკებმა აქაც არ უღალატეს „პრინციპს", ბაქოს საქმეში „ხელი დაიბანეს" და ვითომ მშრალზე გამოვიდენ იმ ხალხის წინაშე, რომელთაც სიტყვით ბედნიერება შეჰპირდენ, საქმით კი, ვინ მოსთვლის, რა უბედურება არ მიაყენეს!

ბალშევიკების ბელადმა ჯაფარიძემ ასე დაათავა თავისი სიტყვა: „ისეთი დრო დადგა, რომ ჩვენ არა თუ სამჯერ, არამედ—ათჯერ მეტი უნდა ვიმუშაოთ, ვინაიდან გამოჩნდენ მტრები ინგლისელი იმპერიალისტების სახით, რომლებიც თქვენ მოიწვიეთ; ამ გვარი პოლიტიკისთვის პასუხის მგებლობას ჩვენ ვერ ვიკისრებთ. ინებეთ თქვენ იკისროთ ასეთი პასუხისმგებლობა. დაიკავეთ კომისრების ადგილები, საერთო მუშაობაში კი ჩვენ მივიღებთ მონაწილეობას, ჩვენი პარტიის არავინ არ წავა საბჭოდან".

შაუმიანმა კი შემდეგი დაუმატა: „მე მსურს შემდეგი დავუმატო ამხ. ალიოშას (ჯაფარიძე) განცხადებას: ჩვენ ვიმუშავებთ, მაგრამ ვიბრძოლებთ როგორც გერმანელების, ისე იმ გამყიდავი პოლიტიკის წინააღმდეგ, რომელსაც თქვენ აწარმოებთ".

ამ განცხადებით გამოეთხოვენ ბალშევიკები ძალა უფლებას ბაქოში!

„წინ წყალი, უკან მეწყერი"-ო—აი, რას ეტყოდა შეგნებული დემოკრატია ბალშევიკებს საბჭოს კარებში გამოსვლისას!.

## კანონი

**ნამდვილ სამხედრო სამსახურში დატოვებისა და ჯარში გაწვევის იმ პირთა, რომელნიც დაბადებულან 1896—1899 წლებში:**

არმიის შესავსებად მშვიდობიანობის დროს შტატამდე და გასაუქმებლად საქართველოს ტერიტორიაზე დღემდის მომქმედის ყოველგვარის კანონისა და მთავრობის განკარგულებისა ეროვნულმა საბჭომ დაადგინა:

მუხ. 1.

ყოველი ახალგაზრდა, რომელიც დაბადებულია 1896 და 1897 წლებში და იმყოფება ეხლა რესპუბლიკის ჯარში, დატოვებულ იქნეს ნამდვილ სამსახურში განსაკუთრებულ განკარგულებამდე.

მუხ. 2.

ყოველი ახალგაზრდა, რომელიც დაბადებულია 1898 წელს და დღეს ჯარში მსახურობს, უნდა დარჩეს ჯარში ნამდვილის სამსახურის სავალდებულო ვადის შესრულებამდე. ეს ვადა ჩაეთვლება დღიდან ჯარში ნამდვილად შესვლისა.

მუხ. 3.

ყოველი ახალგაზრდა, რომელიც დაბადებულია 1896 წ. და დღეს ჯარში

მსახურობს, უნდა დარჩეს ჯარში ნამდვილის სამსახურის ვადის შესრულებამდე. ეს ვადა ჩაეთვლება დღიდან ჯარში ნამდვილად შესვლისა.

მუხ. 4.

რესპუბლიკის ყოველი მოქალაქე, 1 ლსა და მე-2 მუხლში აღნიშნულის ასაკისა, თუ რაიმე მიზეზით ეხლა ჯარში არ იმყოფება, დაუყონებლივ უნდა გაწვეულ იქნეს ნამდვილს სამხედრო სამსახურში.

მუხ. 5.

რესპუბლიკის ყოველი მოქალაქე 1 და 2 მუხლში ნაჩვენების ასაკისა, მოვალეა არ მოუცადოს განსაკუთრებულს მოწვევას და თვით გამოცხადდეს არა უგვიანეს ამ წლის სექტემბრის 10-სა სათანადო უფროსთან ჯარის ნაწილებში ჩასარიცხად. ვინც ამ დღისთვის არ გამოცხადდება, ჩაითვლება დეზერტირად და შეპყრობილი გადაეცემა სამხედრო სასამართლოს.

მუხ. 6.

ვინც 1895 წლამდე, ან 1895 წელში დაბადებულა და ეხლა ჯარში მსახურობს, დათხოვნილი იქნება სათადარიგოდ სამხედრო მინისტრის განკარგულებით, იმის კვალობაზედ, როგორც კი გამოცხადდებიან ისინი, რომელნიც გაწვეულ იქნებიან ამ კანონის მე 4 მუხლის თანახმად, ხოლო არა უგვიანეს ოქტომბრის პირველისა.

ამ კანონის სისრულეში მოსაყვანად განკარგულების მოხდენა დაეკისროს სამხედრო და შინაგან საქმეთა მინისტრებს.

1918 წ. აგვისტოს 20.

საქართველოს ეროვნულ საბჭოს თავმჯდომარე ნ. ჩხეიძე.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე ნ. ჟორდანია.

# ᲓᲔᲞᲔᲨᲔᲑᲘ

(ამიერ-კავკასიის დეპეშათა სააგენტო).

23 აგვისტო.

**ბერლინი.** კემმელის რაიონში მოვიგერიეთ მტრის იერიშები. არრასის სამხრეთით ინგლისელებმა კვლავ განაახლეს იერიშები. ინგლისის კორპუსები და ახალი ზელანდიელები ძლიერი იერიშებით მოდიოდენ ბაპომის მიმართულებით. კონტრ იერიშებით ჩვენ დავიბრუნეთ ის ტერიტორია, რომელიც წინეთ მტერს დავუტოვეთ სტრატეგიული მოსაზრებით. მთელი დღის განმავლობაში მტერს ძლიერი იერიშები მოჰქონდა. მტრის ყველა იერიშები მოვიგერიეთ და დიდი ზარალიც მივაყენეთ: მტერმა ვერ შესძლო გამელთან ანკრის გადმოლახვა, სომმას და უაზს შუა დღე წყნარად ჩატარდა. ნუიონის სამხრეთ დასავლეთით 20 აგვისტოს ღამით რამდენიმეთ უკან დავიხიეთ ჩვენ მიერ დატოვებულ პოზიციებს მტერი მთელი დღე ყუმბარებს ესროდა. მხოლოდ საღამოთი დიდის სიფრთხილით მიუახლოვდა მტერი დეეტის ველს. ჩვენმა ჯარებმა, რომლებიც კარლეპომის ტყეში იბრძოდენ, უაზის გამოღმა დაიხიეს ისე, რომ მტერს არ შეუნიშნავს. ჩვენი ჯარების გადაჯგუფების გამო მტერმა გუშინ აქ იერიშის მოტანა ვერ მოახერხა. ბლენარკურის და ენის შუა მტერი განაგრძობდა მთელი, დღე იერიშების მოტანას. მხოლოდ ბლენარკურთან მტერმა ცოტათი წინ წამოიწია. სხვა რაიონებში მტრის მიერ მოტანილი იერიშები უშედეგო იყო.

**ვენა.** სიმონეს მთაზე მოვიგერიეთ იტალიელთა იერიში. ჩვენმა ჰაეროპლანებმა ვალონაში ყუმბარები ჩაყარეს.

**სტამბოლი.** პალესტინის ფრონტი. საარტილერიო სროლაა. გეჯასში აჯანყებულებს ჩვენი რაზმი დაესხა თავს. აჯანყებულები გავრეკეთ.

21 აგვისტოს ღამით მტრის ორი ჰაეროპლანი თავს დაესხა სტამბოლს. ბევრი ყუმბარები ჩამოყარეს ქალაქის ნაწილ სტამბოლში, სამხედრო ზარალი არ არის. მცხოვრებთაგან 9 დაიჭრა, დაზარალდა რამდენიმე მაღაზია.

**ბერლინი.** რეიხსტაგის წევრმა მარკარტმა სამხედრო მინისტრისაგან პასუხად მიიღო, მომავალ ზამთრისთვის ხაზინიდან დახმარება გადიდებულ იქნება სათადარიგო ჯარისკაცთა ოჯახებისათვისო.

**ლონდონი.** საყოველთაო არჩევნები მოხდება ნოემბერში. მომავალში ბრიტანეთის ყველა სამფლობელოთ ეყოლებათ ლონდონში მინისტრ - პრეზიდენტები, რომლებიც სამხედრო კაბინეტის წევრები იქნებიან, წარმომადგენელი ინდოეთსაც ეყოლება.

**ციურიხი.** სტეფანის სააგენტოს ცნობით ახლო ხანში იტალიაში მოელიან ამერიკის ჯარებს.

**ბერნი.** „პტი-ჟურნალის" ცნობით მონბლანის ობსერვატორიის დირექტორი, ჩეხი ასტრონომი პროფესორი სტეფანოვიჩი, რომელიც ომის დაწყებისას საფრანგეთის ჯარში შევიდა მფრინავათ, ახლა დანიშნულია ციმბირში მომქედ ჩეხ-სლოვაკების უფროსად.

**გონკონგ.** რეიტერის სააგენტოს ცნობით მდინარე კონტონი ნაპირებიდან გადმოვიდა და 5000 ათასი კაცი ცის ქვეშ დარჩა. 25 ათასი სულის გამოსაკვები აღარ იშოვება.

**კოპენჰაგენი.** მოსკოვში დააპატიმრეს სერბიის და საფრანგეთის ყველა აფიცრები. დღემდე კრონშტადტში მიიყვანეს 1000 დატყვევებული.

**ბერნი.** საფრანგეთის გაზეთები აღნიშნავენ გერმანელების მიერ დასავლეთის ფრონტზე ჯარების გამრავლებას ჟურნალი ამბობს, რომ სულ ახალ-ახალი ძალები ემატება გერმანელებსო.

ამერიკის გაზეთები სწერენ, რომ ომი მომავალ გაზაფხულამდე არ გათავდება; მაშინ გენ. ფოშს 3 მილიონი ამერიკის ჯარი ეყოლებაო.

**ლუგანო.** გერმანიის სოციალისტების ბელადი შეიდემანი შვეიცარიაში მივიდა.

**ბერლინი.** გერმანიის პარტიათა ბელადები მიღებული იქნებიან კანცლერის მიერ ოთხშაბათს. მათ გააცნობენ იმ თათბირის მუშაობას, რომელიც ახლა მთავარ სადგომში სწარმოებს.

**ვენა.** ავსტრიის სახელმწიფო საბჭო შეიკრიბება სექტემბრის შუა რიცხვებში. შესდგება ერთი სხდომა. დეპუტატთა პალატის საფინანსო კომისია მოწვეულია ერთ სხდომაზე, რომელიც მომავალ თვეში შესდგება. გაარჩევენ ახალ სახარჯო გადასახადს.

**ქავკავი** (ბაქოდან). კავკავი, თერგის საოლქო საბჭოს. 31 ივლისს, იმ კრიტიკულ მომენტში როცა ოსმალო გერმანელნი ქალაქში შემოჭრას ცდილობდენ, ბოლშევიკების მთავრობამ მიატოვა ბაქოს პროლეტარიატი. ძალა-უფლება ბაქოში ფლოტის დიქტატურამ აიღო ხელთ, რომელმაც გააერთიანა ჯარი და პროლეტარიატი და მტერი ჰანდევნა. ამ მთავრობამ სამხედრო ტეხნიკური ხასიათის კავშირი შეკრა ინგლისელებთან, ამ ჟამიდ მტერი განდევნილია და უკან იხევს. გვაცნობეთ რა ხდება თერგის და ყუბანის ოლქებში. დიქტატურის თავმჯდომარე ს. ტიუშკოვი.

**სამარა.** სამარაში შესდგა კომიტეტი ნაციონალურ კრების წევრთაგან, რომელიც თავს სრულიად რუსეთის მთავრობათ აღიარებს. კომიტეტის წევრთა უმრავლესობა სოც.-რევოლიუციონერები არიან.

**კიევი.** პრესის წარმომადგენლებს დონის მთავრობამ გააცნო ხელშეკრულობის პირობები, რომელიც დადებულ იქნა დონის ოლქსა და უკრაინას შორის. ხელშეკრულობაში სცნობენ ურთიერთ დამოუკიდებლობას და სატამოჟნო დაწესებულებების შექმნის უფლებას.

ყუბანის მთავრობა მოითხოვს უკრაინასთან სავაჭრო ხელშეკრულობის აღდგენას.

# ᲣᲙᲐᲜᲐᲡᲙᲜᲔᲚᲘ ᲪᲜᲝᲑᲔᲑᲘ

**ახალი ათონი.**

სახალხო გვარდიის მთავარ შტაბს ატყობინებენ, რომ ახალი ათონის რაიონში შეტაკება მოხდა სახალხო გვარდიელთა და ოსმალთა ასკერებს შორის. ჩვენის მხრით არიან დაჭრილნი და დახოცილნი.

**საქართველოს სამხედრო გზაზე.**

კავკავიდან და ყაზბეგიდან ჩამოსულების სიტყვით, საქართველოს სამხედრო გზაზე მოგზაურობა ძალიან ძნელია. დარიალის ხიდის იქით 2 ალაგას გზა დანგრეულია. მგზავრების უმრავლესობა ვერ ბედავს ადგილიდან დაძვრას, რადგანაც კავკავიდან ხმები მოდის, რომ მის ახლო მახლო მგზავრებს სძარცვავენო. ყაზბეგის იქით მგზავრებს აჩერებენ სად. ყაზბეგთან სურსათი სრულიად არ მოიპოვება. რუსთა ეროვნულ საბჭომ დაადგინა მდგომარეობის გამორკვევამდე კავკავისკენ არავინ არ გაიგზავნოს.

**კავკავი.**

კავკავიდან ჩამოსული იქაურ მდგომარეობას ასე აგვიწერეს: ყაზახები მოულოდნელად დაესხნენ ქალაქს, რომლის აღების შემდეგ წითელი არმიელები იძულებული გახდენ დაეხიათ უკან. ინგუშების მოშველების შემდეგ წითელ არმიელებმა ისევ დაუწყეს ქალაქს სროლა, რომელიც გაგრძელდა 24 საათს. ბრძოლის დროს ქალაქში მიმოსვლა შეწყვეტილი იყო და ხალხი შიმშილს განიცდიდა. მცხოვრებთა შორის ბევრია დაჭრილი და დახოცილი. ქალაქი განადგურდა. ბოლოს ყაზახები განდევნეს ქალაქიდან. უკანასკნელად მოსული ცნობით ეხლა ძალა-უფლება წითელ არმიელებსა და ინგუშების ხელშია. საქართველოს რესპუბლიკის დელეგატებს ინგუშები კარგათ ეპყრობოდენ, მათ გამოიყვანეს ისინი კავკავიდან, მხოლოდ ზოგიერთ ადგილას გეგეჭკორის რაზმში ნამყოფნი ეპყრობოდენ მათ ცუდათ.

# ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲐᲨᲘ

გარეშე საქმეთა მინისტრის მოხსენებით მთავრობამ დაადგინა: 1) მიენდოს სამხედრო მინისტრს დაუყონებლივ გაგზავნოს ჯარი აბასთუმანსა და აწყურში იმ ადგილების დასაკავებლად, რომელიც დარჩა საქართველოს; ხოლო ქართველ ჯართან ერთად გაიგზავნოს გერმანელთა ჯარის ნაწილიც. 2) გადაეცეს ადერბეიჯანის მთავრობას მუსულმანთა კორპუსის ქონება აღწერით და შესაფერი ოქმის შედგენით.

მიწათ-მოქმედების მინისტრის მოხსენების თანახმად მთავრობამ დაადგინა დაევალოს ფინანსთა სამინისტროს დაუბრკოლებლივ და რიგს გარეშე მიაწოდოს მიწად-მოქ. სამინისტროს მიწის რეფორმის დაჩქარებით ცხოვრებაში გასატარებლათ საჭირო თანხა, ამ საქმისათვის გახსნილ 1.250.000 მანეთის კრედიტიდან.

მთავრობის თავმჯდომარის მოხსენების თანახმად მთავრობამ დაადგინა: შეძენილ პურისაგან პირველად დააკმაყოფილონ ჯარი, შემდეგ მუშები,—სახელმწიფო დაწესებულებათა დაბალი მოსამსახურენი და დამშეული ადგილები და შემდეგ მცხოვრებთა დანარჩენი ნაწილი.

თანახმად სამხ. მინისტ. მოხსენებისა, მთავრობამ დაადგინა: მიენდოს სამხ. მინისტრს კადეტთა კორპუსის ლიკვიდაცია და მიეცეს მას ამისთვის საჭირო თანხა.

სახალხო განათლების მინისტრის მოხსენება თფილისის გიმნაზიების ქართველებს და არა ქართველებს შორის განაწილების შესახებ მოწონებულ იქნა და მიენდო მას მიიღოს ზომები, რომ გიმნაზიის ხარჯები მისივე შემოსავალმა დაფაროს.

სახალხო მასწავლებელთა მდგომარეობის გაუმჯობესობის შესახებ კანონპროექტი, მოწონებულ იქმნა.

მიწათ-მოქმედების მინისტრის მოხსენების თანახმად მთავრობამ დაადგინა მიანდოს მიწათ-მოქმედების მინისტრს შეშის დამუშავების საქმე.

# ᲐᲮᲐᲚᲘ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ

**ნოე ჟორდანიას მოხსენება.** შაბათს, 24 აგვისტოს, საღამოს 7 საათზე სახალხო სახლში ამხ. ნოე ჟორდანია წაიკითხავს მოხსენებას რუსულად შემდეგ თემაზე: „სოციალ-დემოკრატია და საქართველოს სახელმწიფოს ორგანიზაცია". შინაარსი: 1) შესავალი, 2) სახელმწიფოზე საზოგადოთ, 3) ქართველი საზოგადოების სტრუქტურა, 4) გლეხობის როლი სახელმწიფო ამშენებლობის საქმეში, 5) რესპუბლიკის ფორმა: ა) პარლამენტარული რესპუბლიკა, ბ) დემოკრატიული რესპუბლიკა, 6) დემოკრატიული რესპუბლიკის ორგანიზაცია, 7) დასკვნა. შესვლა პარტიის წევრთა ბარათებით.

◆ **შინაგან საქმეთა მინისტრის** ამხანაგი გერ. მახარაძე დაბრუნდა კავკავიდან და თავის მოვალეობის შესრულებას შეუდგა.

◆ **გარნიზონის უფროსმა დაატუსაღა** შტაბს კაპიტანი ხელაშვილი მეცხოვნე ჯარის უფროსის შეურაცყოფისთვის. პოდპ. მგელაძე მკვლელობისათვის, ჯარის კაცები: ფირცხალაიშვილი, ლომჯარია და ქელიძე მკვლელობისათვის; ჯარის კაცები სამხარაძე და ნიკაბერიძე ბრძანების შეუსრულებლობისათვის.

◆ **სომხის** სათვისტომო კავშირის ცენტრალურმა საბჭომ მიმართა მოწოდებით ყველა ქვეყნის ხალხს დახმარება გაუწიონ ლტოლვილ სომხებს, რომლებმაც ომის მიზეზით დასტოვეს თავიანთი კარ მიდამო, გადაიხვეწნენ სხვადასხვა კუთხეებში და აუტანელ მდგომარეობაში არიან. ამავე შინაარსის მოწოდებით მიმართა სომხის მწერალთა საზოგადოებამ პარლამენტებს, უნივერსიტეტებს, სასწავლებლებს და მთელი ქვეყნის მცხოვრებთ.

◆ **დატუსაღება.** შინაგან საქმეთა სამინისტროსთან არსებულმა რაზმმა შეიპყრო ქალაქის გამგეობის კონტროლიორი სტეპ. კარაპ. ალავერდოვი, რომელიც კონტრ-რევოლიუციონური გამოსვლებით საქართველოს რესპუბლიკის წინააღმდეგ მოქმედებდა. 2) სერგო თ. ხინტკირია სხვადასხვა შანტაჟისტურ ორგანიზაციებში და დაცემაში მონაწილეობის მიღებისათვის. 3) ი. ე. არუთინოვი რაზმის წევრის ახვლედიანის ქრთამის შეძლევისათვის. 4) ა. გ. ოქრუაშვილი საქართველოს რესპუბლიკის წინააღმდეგ გამოსვლისათვის და დუშეთის აჯანყების მონაწილეობის მიღებისათვის. 5) კ. კ. გოგელიანი შანტაჟისტურ ორგანიზაციებში მონაწილეობის მიღებისათვის და 6) აკაკი გოგელიანი, როგორც რესპუბლიკისათვის მავნე პირი.

◆ **ენვერ ფაშის განზრახვა.** ბერლინიდან მიღებული ა. ოგანჯანიანის დეპეშის თანახმად ენვერ ფაშას განზრახვა ჰქონია მოახდინოს არარატის რესპუბლიკის ოკუპაცია. ამის ოფიციალური საბაბი ის იქნება, რომ ჯულფა-ალექსანდროპოლის რკინის გზის ლიანდაგზე სომეხთა ბრბოები მოქმედებენო აზრათ აქვთ ამ ბრბოების განდევნა სომხეთის მთავრობასთან შეთანხმებით მოახდინონ („ტ. ზ.").

◆ **„ნაკადული".** გამოვიდა და ხელის მომწერლებს დაურიგდა საყმაწვილო ჟურნალ „ნაკადულის" ამა წლის მე 3 და მე-4 ნომერი ერთ წიგნად მოზრდილთათვის და მე 4 ნომერი ცალკე წიგნად მცირეწლოვანთათვის. ჟურნალი ჩვეულებრივათ სუფთა და შინაარსიანი გამოცემაა.

◆ **სახალხო განათლების სამინისტრომ** ნება დაურთავს ალ. საათაშვილისთვის გახსნას თფილისში ბუჰგალტერიის კურსები ქართულ ენაზე. კურსებზე მიიღებიან როგორც ვაჟები, ისე ქალები, წლოვანობის განურჩევლად. ჩაწერა ყოველ დღე დილის 10 დან 12 საათამდე. დუშეთის ქუჩა, სახლი № 9.

◆ **იგ. პ. როსტომაშვილის მოხსენე**ბა. კვირას, 25 აგვისტოს, დილის [illegible] საათზე, კადეტთა კორპუსის შენ [illegible] სახალხო და [illegible] მასწავლებელთა [illegible] წაიკითხავს მოხსენებას: „როგორ მოეწყოს სწავლა განათლების საქმე დამოუკიდებელ საქართველოში?" და [illegible] ბა ყველასათვის თავისუფალია.

◆ **ტრამვაის პარკში** 25 აგვის საღამოს 6 საათზე, დანიშნულია ზლის რაიონის სახალხო გვარდიე საზოგადო კრება. გასარჩევია მ საყურადღებო კითხვები და საგა ბულოა ყველა გვარდიელებს წრება.

◆ **ხოლერა.** უკანასკნელ დღ ქალაქის საავათმყოფოში მოიყვან ხოლერიანი და 8 საეჭვო ავათმ მორჩა 5; მოკვდა 7 ხოლერიან აგვისტოს საავათმყოფოში იყო 60 ლერიანი და 1 საეჭვო ავათმყოფი.

◆ **დროებითი საორგანიზაციო** რო, საქართველოს რესპუბლიკის რაგების კომიტეტის თანამშრომ კავშირისა აცხადებს, რომ შაბათ აგვისტოს საღამოს 5 საათზე დან ლია დამფუძნებელი კრება კავში ბიურო სთხოვს ყველა ამხ. თანამ მელთ იმ საქონლის საწყობებისას, მელნიც ექვემდებარებიან მომარაგ კომიტეტს აუცილებლად დაეს კრებას, კრება აუცილებლად შეს რამდენი წევრიც არ უნდა გამოცხად

◆ **ოზურგეთის სამაზრო სასურს** კომიტეტის წარმომადგენელი გრ კოპლატაძე, 17 აგვისტოს ჩამო თფილისში. მას დავალება ჰქონდა სახული სასურსათო სამინისტროს დეგ: 1) გამოერკვია მაისში ოზუ თის მაზრისთვის გადაგზავნილ კავ სიმინდის ფასები. 2) სასურსათო ს მოწესრიგება და 3) აღეძრა შუამდ ლობა ოსმალეთის ჯარის მიერ დ ცებული ოზურგეთის სამაზრო სასუ თო კომიტეტის ქონების, როგორ ტყვია, შაქარი და სხვადასხვა სანოვ ანაზღაურების შესახებ. სიმინდის ფ ბის გადაწყვეტა სამინისტროსათვის ხანად მოუხერხებელი შეიქნა. სურსა მოწოდების შესახებ მთავარმა რწმ ბულმა არდაშელმა დახმარება აღუთ და დაპირდა, რომ გურიისათვის ყო ღიურათ გამოგზავნი სამ ვაგონ ს სათსო. დატაცებული ქონების შეს სამინისტრომ აღუთქვა: ეცდება შუ დგომლობა დააკმაყოფილოს და კ ტეტს აუნაზღაუროს ზარალი. ამრ ოზურგ. სასურსათო კომიტეტს ჯერ დევ აღარ ეძლევა საშვალება საზ დოებებს გაუსწოროს ანგარიში და ახდინოს საბოლოოთ საქმეების ლი დაცია.

# ᲞᲠᲝᲕᲘᲜᲪᲘᲘᲡ ᲥᲠᲝᲜᲘᲙᲐ

**სად. აშაგა-სერალი** (ბორჩალოს ზრა). ყოველ დღე მატულობს ლტ ვილებთა რიცხვი, მათ შორის ბე დაავათმყოფებულები, საჭმელ სას ცოტა აქვთ ხშირათ ხილეულობით ი ბებიან, რაც ხელს უწყობს სხვადა

# ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲐᲨᲘ

I

ბედმა თუ უბედობამ ამ რამდენიმე თვის წინეთ—გერმანიაში გამგზავრება მარგუნა.

მიმდინარე წლის მაისის 28 დამოუკიდებელ საქართველოს რესპუბლიკის ოფიციალურ დელეგატებთან ერთად სოციალ-დემოკრატიული პარტიის საოლქო კომიტეტის დავალებით ბერლინისაკენ გავემგზავრე, რათა გერმანიის სოციალდემოკრატიულ პარტიის წარმომადგენლებთან საქართველოს დამოუკიდებლობის შესახებ მოლაპარაკება გამემართა და მათთვის საქმის ნამდვილი ვითარება გამეცნო.

მსოფლიო ომის ქარტეხილმა, თანამედროვე იმპერიალისტურმა პოლიტიკამ მთელი მსოფლიო შეარყია და ომამდე არსებული სახელმწიფოებრივი თუ ნაციონალური საზღვრები წარმოუდგენლათ შესცვალა.

მრავალმა ერებმა და ისტორიულათ არსებულმა სახელმწიფოებმა თავიანთი დამოუკიდებლობა დაჰკარგეს და დიდ, გამარჯვებულ სახელმწიფოების პროვინცია—ახალშენებათ გადაიქცენ.

გამოიჭრა მსოფლიო ახალი რუქა: ბელგია, სერბია, ჩერნოგორია ცენტრალურ სახელმწიფოების პროვინციებათ გადაიქცენ, იმპერიალისტურ სახელმწიფოების ახალშენები გახდენ.

ზოგიერთ სახელმწიფოებს ტერიტორიების მოზრდილი ნაწილი წაერთვათ და ეს ტერიტორიები ძლევა მოსილ სახელმწიფოების საექსპლოტაციო ობიექტათ გადაიქცენ.

დაპყრობით და დამორჩილების პოლიტიკასთან ერთად წარმოიშვა მეორე ტენდენცია, რომლის მეოხებითაც ზოგიერთი ერები საკუთარ ფეხზე დადგენ და მათ დამოუკიდებლობა მიენიჭათ. ის რაც ფანტაზიას შეეძლო წარმოედგინა, დღეს სინამდვილეთ გადაიქცა და საუკუნის განმავლობაში თავისუფლებას მოკლებული ზოგიერთი ერი საკუთარ სახელმწიფოებრივ ცხოვრებას ეწევა.

რასაკვირველია, წვრილი ერების დამოუკიდებლობა იმპერიალისტური სახელმწიფოების ეკონომიურ და პოლიტიკური ინტერესების მიხედვით ხდება და პატარა ერებს ენიჭებათ თავისუფლება იმდენათ, რამდენათაც ეს დიდ იმპერიალისტურ სახელმწიფოების სურვილებს შეესაბამება.

ჩვენის აზრით, შემცდარია გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის მემარჯვენე ფრთის წარმომადგენელ კუნოვის შეხედულება, თითქოს თანამედროვე იმპერიალიზმი უმაღლესი **ეკონომიური კატეგორია** იყოს და მას პოლიტიკური ბატონობის ტენდენციები არ ჰქონდეს დასახული. პირიქით, იგი, როგორც ჩვენი უდიდესი თეორეთიკოსი საპართლიანათ აღნიშნავს, **პოლიტიკური კატეგორიაა** და იმპერიალიზმი წვრილ ერებს და სახელმწიფოებს არას დროს არ გაახარებს. მაშასადამე, თანამედროვე კაპიტალისტური კლასების იმპერიალიზმს ტენდენციათ წვრილი ერებისა და პატარა სახელმწიფოების ეკონომიურათ და პოლიტიკურათ დამორჩილება უდევს და ამ ნიადაგზე მოქმედებს.

ეჭვს გარეშეა, სოციალ-დემოკრატია ასეთ კლასის პოლიტიკას ნდობით ვერ მოეკიდება და ის მიმართავს ისეთ კლასს, რომელიც არსებითად უარყოფს ბურჟუაზიის იმპერიალისტურ პოლიტიკას. ასეთი კლასი კი ინტერნაციონალური პროლეტარიატია, ინტერნაციონალური სოციალ დემოკრატია, რომელიც ყოველგვარი ბატონობის წინააღმდეგია და წვრილი და პატარა ერების გულწრფელი მოსარჩლეა.

სოციალდემოკრატია ინტერნაციონალური და დემოკრატიული პარტიაა.

იგი მთელი საუკუნის განმავლობაში ამ ნიადაგზე მუშაობს. დემოკრატიული წყობილების გარეშე ბრძოლა კი მოითხოვს ერთა თვითგამორკვევის უფლებას. მართალია, ზოგიერთი „რადიკალები" ერთა თვითგამორკვევის უფლებას თანამედროვე კაპიტალისტურ ხანაში უარჰყოფენ და მის განხორციელებას შეუძლებლა სცნობენ, მას მომავლისათვის სდებენ, მაგრამ ისინი მწარეთ სცდებიან, ვინაიდან მომავალ სოციალისტურ საზოგადოებაში ერთა თვითგამორკვევის საკითხი არ არსებობს და ეს პრობლემა უკვე გადაწყვეტილი იქნება.

პროლეტარული სოციალიზმი უწინარეს ყოვლისა დემოკრატიული სოციალიზმია, დემოკრატია ის ძირითადი საფუძველია, რომელზედაც აშენდება მომავალი სოციალიზმი. ვიდრე ასეთი ურთიერთობა დამყარდებოდეს, საჭიროა დემოკრატიის პოლიტიკური, ეკონომიური და ნაციონალური მოთხოვნები დაკმაყოფილებულ იქნას. ასეთ მოთხოვნილებათა შორის, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ერთა თვითგამორკვევის უფლების აღდგენას დიდი ალაგი უჭირავს.

ინტერნაციონალური სოციალ დემოკრატიული პარტია და მისი მთავარი ხელმძღვანელები დღიდან თავისი არსებობისა ერთა თვითგამორკვევის უფლებას მხარს უჭერდა და დროს და გარემოების მიხედვით დამოკიდებულ ერების განთავისუფლებას მოითხოვდა.

ძველ ინტერნაციონალს არა ერთხელ მოუთხოვია პოლონეთის და სხვა დამონავებული ერების განთავისუფლება.

ასევე იქცეოდა ახალი ინტერნაციონალი და უკანასკნელი დაჩაგრულ ერების თვით გამორკვევის უფლების მედგარ მოსარჩლეთ გამოდიოდა.

ჩვენ მივაშურეთ გერმანიის სოციალ-დემოკრატიულ პარტიას, რადგანაც ამ პარტიაში ვხედავდით ჩვენი დამოუკიდებლობის მოსარჩლეთ.

28 მაისს გენერალ ფონ-ლოსოვის განკარგულების თანახმად ფოთის ნავსადგურში გერმანიის სატრანსპორტო გემი „მინა ჰორნი" გველოდებოდა.

გენერლის დაპირებით გემი ნაშუადღევის 4 საათზე გავიდოდა და ეს დაპირება გერმანიული პუნქტუალობით იქნა შესრულებული. სრულ 4 საათზე გემი ნავთსადგურიდან დაიძრა და გაუდგა შორეულ გზას.

მეზღვაურების სიტყვით ბათუმიდან კონსტანცამდე სწრაფი სამგზავრო გემით 48 საათის გზაა, მაგრამ ჩვენი გემი მეტათ ნელი მოსიარულე გამოდგა და ორჯერ მეტი დრო დავყავით გზაში.

„მინა ჰორნი" ჯერ ერთი სატრანსპორტო გემია და მეორეც—იგი თითქმის ამ ოთხი წლის განმავლობაში რუსეთის ნავსადგურებში იდგა, როგორც ტყვე და უმოქმედობის გამო მანქანები და „მოტორი" საგრძნობლათ დაჟანგებოდა, რაც ისედაც მძიმეთ მოსიარულე გემს ზღვაზე ცურვას საკმარისად უძნელებდა.

გემის დაძვრისთანავე მრავალი ფიქრები წამოიშალა ჩემს თავში. უმთავრესათ ჩემს ყურადღებას იქცევდა გერმანიის აწმყო ეკონომიური, პოლიტიკურ საზოგადოებრივი მდგომარეობა. გულის ფანცქალით და ბავშვურის გატაცებით მოველოდი იმ დღეებს, როცა გერმანიის ტერიტორიაზე ფეხს დავადგამდი და ამ საზღაპრო ქვეყნის ნამდვილ მდგომარეობას საკუთარი თვალებით ვიხილავდი.

ოთხი წელია, რაც ამ სახელმწიფოს თითქმის მთელი კაცობრიობა აუმხედრდა. მსოფლიო ბაზარს ყოველმხრივ მოწყვეტილი გერმანია უსაშინელეს ომს ეწევა და მოწინააღმდეგეებს თითქმის ამარცხებს. ამ ხალხს არაჩვეულებრივი ეკონომიური და პოლიტიკური ორგანიზაცია უნდა შეექნა, რომ ასეთი მუყაითობით და ენერგიით შესძლო მტრების მოგერიება დამარცხება. თუ არ გენიალური ორგანიზაცია,—გერმანია სხვანაირათ ვერ შესძლებდა ფრონტზე და შიგნით ცხოვრების მოწყობას და მტრის წინააღმდეგ გამკლავებას.

ჩემი ასეთი შეხედულება გემზე მგზავრობის პირველ დღესვე გამართლდა. მგზავრების გამოკვება გერმანელებმა იკისრეს. გემის უფროსი გვაჭმევდა და გვასმევდა. თუმცა ეს ჩვენ თავიდანვე ვიცოდით, მაგრამ მაინც თან წავიღეთ საკმაო საგზალი. ჩვენი სურსათი გემის საოჯახო ნაწილის მეთვალყურეს გადავეცით. სხვათა შორის, წავიღეთ სამი ლორი და მრავალი კონსერვები.

გერმანელებმა თავისებური ეკონომიით დაიწყეს გამასპინძლება. ვერ ვიტყვი, რომ მშივრები ვიყავით—თავის დროზე ყველაფერს გვაჭმევდენ, რაციონი ჩვეულებრივ საკმარისი იყო და ლუარსაბისებურ სტომაქის გატენას აქ ადგილი არ ჰქონებია.

თქვენ წარმოიდგინეთ, სამი ლორიდან ყველა მგზავრებმა მარტო ნახევარ ლორს ვუყავით კონსუმცია და ორ ლორ ნახევარი ხელ უხლებელი გადაგვირჩა. ასეთი იყო გერმანელების მიერ სურსათის ეკონომია!

მეოთხე დღეს, ფრთხილი მგზავრობის შემდეგ, რამდენიმე ათი ვერსის მანძილიდან რუმინიის ზღვის პირის ქალაქი გამოჩნდა.

ყველანი გემის აივანზე გამოველით, თვალ მოუშორებლათ ქალაქისაკენ ვიცქირებოდით.

ორი საათის შემდეგ ჩვენი გემი კონსტანცის ნავსადგურს მიადგა. ნაშუადღევის 5 საათი იქნებოდა. ნავსადგური მშვენიერ შთაბეჭდილებას ახდენს, იგი ახალი ტეხნიკის მიხედვით არის აშენებული. ნავსადგურის სხვადასხვა ბურჯებზე გერმანელების, ავსტრიელების, ბულგარიელებისა და ოსმალეთის ნაციონალური დროშები ფრიალებდენ.

რუმინიის ეს ქალაქი ოდესღაც ოსმალეთს ეკუთნოდა და დღეს გერმანიის იარაღის ძლევა მოსილების მეოხებით ოსმალეთის მთავრობას საშუალება მიეცა თავისი დროშა აეფრიალებია.

საგანგებო მატარებელი, რომლი ჩვენი დელეგაცია ბერლინში უნდა გ გზავრებულიყო გენერალ ფონ ლოსო განკარგულებით მეორე დღეს დილი საათზე გავიდოდა და ჩვენც ღამის თევა კონსტანცაში მოგვიხდებოდა. შ თხვევით ვისარგებლეთ და შევუდ ქალაქის დათვალიერებას.

ქალაქი გვარიან მაღლობზეა გაშ ბული. ნავსადგურიდან პატარა აღმა თი უნდა აიარო, შემდეგ შედიხარ ლაქში. ვიდრე ქალაქში შეხვიდოდ ნავსადგურის მოშორებით გერმანე ბის სადარაჯო არის, სადაც სამხედ პირები ქალაქში შესასვლელ მოწმ იძლევიან. დაუბრკოლებლივ მოგვცე საშვები ბარათები და ჩვენ გავემგზ რეთ ქალაქასაკენ. იქვე რამდე მე ნაბიჯის მანძილზე, ზღვის პირ კაზინოს მშვენიერი შენობაა, ყობა, ზღვიდან რამდენიმე ყუმბარა მ ვედრია და შუშები მთლად დამსხვ ლია. თუმცა კედლები მთლიანი იყო და დაზიანება არ ეტყობოდა. თვით ლაქშიც არ იყო ნიშნები გამანადგუ ბელ ყუმბარისა. აქ-იქ შეხვდებოდ გადამწვარ შენობებს, რომლებიც, რო გორც რუმინელებივე ამბობდენ, ქა ქის ნაძირალებს დაეწვათ.

ქალაქი სამხედრო ბანაკს წარმოადგ და მთლად გერმანილების ჯარებ არის გაჭედილი. მრავალი შენობე სამხედრო უწყებებს აქვთ დაკავებუ განსაკუთრებით რუმინიის ყოფილი ხედრო უწყებები და გარდახვეწილ ლებულ კლასების კერძო ბინები. აღ ნიშნავია, რომ მდიდართა შენობე მთლად უპატრონოდაა მიგდებული. ყვე ლა შეძლებულები ქალაქიდან გარდა ვეწილან.

საღამოს 9 საათზე გემზე დავბრ დით და ღამე იქ გავატარეთ. მეო დღეს 7 საათზე საგანგებო მატარებელ ბერლინისაკენ გავემგზავრეთ.

მთელი რკინის გზა გერმანელებ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყოფნის გაჩენას. ჩამოდგება თუ მატარებელი, თავისი ბარგი ბარზედ მიაცვივიან თითქმის გაქმატარებელზე აყრიან ყმაწვილებს ზედ ასხდებიან. თუმცა არაა ხანი რაც ქალაქიდან მოვიდენ, ეხლა ისევ უკან დაბრუნებას ობენ. ამ ჟამად მათი რიცხვი საკდიდია.

**ქუთაისის** ქალაქის გამგეობა სექტემბრიდან იწვევს ქალაქის აფთიაქის პროვიზორს. თხოვნები მიიღება ქუთაისის თვითმართველობაში.

**ზილანი** (აბაშის რაიონი). შიმშილის და უსუფთაობის ნიადაგზე აქ ხოლერა. შესაფერი საექიმო მარება არსაიდან არის. აბაშის ამო განყოფილება ზოგჯერ გზავნის მალს. წასულ კვირას აქ ხოლერისაგან გარდაიცვალა ჯანჯღავა. დამმარხველი ალმოჩნდა და პატრონმა 450 მ. დამმარხველებს. ხოლერის ნიშნები არიან აქ ავათმყოფნი. სამთავრობამ ყურადღება მიაქციოს რომ ეს საშინელი ავათმყოფობა სხვა სოფლებსაც არ მოედვას.

**ხიდისთავში** (გურია). 4 აგვისტოს სოფლობრივ სოც. დემ. კლუბის სასარგებლოთ გამართულ იქნა წარმოდგენა. წარმოდგენას დიდძალი ხალხი დაესწრო სიამოვნებიც დაიშალა. წმინდა შემოსავალი დარჩა 544 მანეთი.

## საერობო არჩევნები

ლანჩხუთის საზოგადოებაში (გურია) ჰქონდა 1494 კაც. პირველ ნომერს დ. ბლოკს ხმა მისცა 1373 კაცმა, მეორე ნომერს (ერ. დემ.)—0.

ქუთაისის რაიონის სოფლებიდან არჩევნების შესახებ შემდეგი ცნობა მოუვიდა საარჩევნო კომისიას:

| სოფლები: | № 1 | № 2 | № 3 |
|---|---|---|---|
| ...არები | 90 | 24 | 20 |
| ...ხჭირი | 106 | — | — |
| ...დოგანი | 101 | 39 | 52 |
| ...ლას თავი | 65 | 24 | 13 |
| ...ნარი | 68 | 8 | — |
| ...ლაკი | 73 | 90 | 368 (?) |
| ...ტირი | 189 | 14 | — |
| ...ნოჯი | 84 | 19 | — |

...სვირის რაიონში პირველმა ნომერმა ...ო 2246, მეორემ—715, მესამემ—59. (...-დ.).

## რკინის გზაზე

**თფილისის სადგური.** აგვისტოს 15-ს თფილისის რკინის გზის სადგურზე უბედურება დატრიალდა: ვიღაც ყოფილი ჯარისკაცი მიეპარა და დასჭრა თფილისის რკინის გზის უმფროსი მილიციონერი შ. სარჯველაძე. ამან იქ მყოფ მილიციონერთა შორის დიდი აღშფოთება გამოიწვია.

ამ დროს იქ გაჩნდა სადგურის მილიციის უფროსი კ. ჩხეტია და საქმე მოაგვარიგა. მან შემდეგი ბრძანება გასცა: 1) აკრძალულია სადგურის ლიანდაგთა შორის ვაჭრობა და სიარული, 2) აკრძალულია სადგურის ბაქანზე გამოსვლა, თუ სამგზავრო ბილეთი არ ექნება. 3) არ შეიძლება ღამის გასათევათ სადგურზედ დარჩენა, 4) არ შეიძლება მატარებელზე შეხტომა ან ჩამოსვლა, სანამ მატარებელი სავსებით არ გაჩერებულა და 5) არ შეიძლება მატარებლით ისეთი ბარგის წაღება სამგზავრო ვაგონში, რომელიც მგზავრის ალაგს დაიჭერს.

ს. ჩ.

## ახალ-სენაკის ქალაქის თვითმართველობა

არჩეულ იქნა ეს თვითმართველობა რევოლიუციის პირველ დღეებში, როცა 90 პროც. სოციალისტობდა. ამ წესით არჩეულ თვითმართველობაში უმრავლესობა სოციალისტებს ეკუთვნოდა, 32 ხმოსნიდან ოცზე მეტი სოციალ-დემოკრატი გახლდათ, დანარჩენი 6 ესერები და ეს-ფერებ-ც. არჩეულ იყო ეს თვითმართველობა რევოლიუციონური გზით. 20 აგვისტოს გასული წლისა სენაკი იქნა ქალაქათ დამტკიცებული „ოზაკომის" მიერ და მას უნდა ჰყოლოდა 21 ხმოსანი ნაცვლად ეხლანდელი 32. საჭირო იყო ხელახალი არჩევნების მოხდენა, მაგრამ სხვადასხვა მიზეზებით ძველი თვითმართველობა დარჩა თავის ადგილას. დემოკრატიული თვითმართველობა ვაჭრების და ისიც უნიჭოების და სრულიად შემოქმედების უნარს მოკლებულ ხალხის ხელში ჩავარდა.

ჩვენ სოციალ-დემოკრატები მოვალენი ვართ ამ მოვლენის წინააღმდეგ ზომები მივიღოთ.

სად არიან პარტიული ორგანიზაციები და პირველ ყოვლისა მაზრის სოც.-დემოკრატიული ორგანიზაცია. ნუ თუ არ იცის მან, რომ ის პასუხისმგებელია ყოველივე ამაში.

მცველი.

## კახეთის რკინის გზა

„ერთობის" 168 ნომერში სიღნაღის კომისარი პ. გელაშვილი სწერს კახ. რკ. გზის სადგურ მუკუზანში 24 ივლისს მომხდარ ინცინდენტის შესახებ და ემყარება რა წინასწარ სასწრაფო გამოძიებას, რომელიც მისი განკარგულებით მომხდარა ცდილობს გაამართლოს მილიციონერების მოქმედება. მე ვფიქრობ გელაშვილი შეცდომაში შესულა „სასწრაფო" გამოძიებით და ამიტომ ის ცალმხრივად აცნობს საზოგადოებას აღნიშნულ ინცინდენტის ისტორიას. ჩემი წერილის საგანს არ შეადგენს ამ ბრალდებათა გარჩევა, ამას გამოძიება გამოარკვევს. მე მხოლოდ მსურს განვმარტო ის მიზეზი, რამაც გამოიწვია ინცინდენტი ჩემსა და მფრინავ რაზმის უფროსის შორის და აგრეთვე ვუპასუხო გზის რაზმისადმი წამოყენებულ მძიმე ბრალდებაზე.

გელაშვილი ამბობს, რომ მე, გადავედი თუ არა მატარებლიდან, მივმართე მფრ. რაზმის უფროსს და ვკითხე:—ვინ მოგცა ნება, რომ რკ. გზის საქმეებში ერევით და არ ემორჩილებით უმაღლეს მთავრობის განკარგულებასო.

ეს მართალია, მარა გელაშვილი არას ამბობს იმაზე, თუ რამ გამოიწვია ჩემგან ასეთი შეკითხვა. საქმე კი ასე იყო: 24 ივლისს, როცა მატარებელი № 4 მივიდა მუკუზანში, დავინახე, რომ მფრინავ რაზმის უფროსს ხალხი შემოხვევოდა და გაცხარებით ლაპარაკობდენ ფქვილის გაგზავნის შესახებ. ხალხიდან ეუბნებოდენ რაზმის უფროსს, რომ სამი ფუთი ფქვილის წაღების ნება არის და რათ გვიშლითო. უფროსი უპასუხებდა: ერთ გირვანქასაც არავის გავატანო.

ამ ლაპარაკში მეც ჩავერიე და ვუთხარი უფროსს, რომ მთავრობის განკარგულებით ყველას შეუძლია სამი ფუთი ფქვილის წაღება, თუ ამის ნებართვა ექნებათ და თქვენ რომელი კანონის ძალით არ აძლევთ ნებას მეთქი. „ეს ჩემი საქმეა, თქვენ მთავრობას მე არა ვცნობ, მე იმ ხალხს ვცნობ, რომელმაც მე დამაყენაო" და სხვა—მიპასუხა უფროსმა. მე გამაკვირვა ასეთმა პასუხმა და ვუთხარი: ნუ თუ არ იცი ვინ არიან ჩვენ მთავრობაში თქო, და ჩამოუთვალე ზოგიერთების გვარები. თან დავუმატე: ყოველ შემთხვევაში უფლება არა გაქვს რკინის გზის საქმეებში ჩაერიოთ-მეთქი. ამის შემდეგ კიდევ უფრო განრისხდა უფროსი და მოყვა მთავრობის ლანძღვას.

ეს ნიშნავს რკინის გზის საქმეებში ჩარევას, რის უფლებაც სოფლის ადმინისტრაციას არა აქვს და რამაც გამოიწვია ჩემი შეკითხვა უფროსისადმი.

ბ-ნი გელაშვილი ერთ მძიმე ბრალდებას აყენებს რკ. გზის რაზმის წინააღმდეგ. ის ამბობს:

„დამცველი რაზმი რკინის გზისა მხოლოდ იმისთვის არსებობს, რომ ორგანიზაციულათ მოაწყოს სპეკულიანტების მიერ შეძენილი სანოვაგის გადაზიდვაო".

ბ ნ გელაშვილს უნდა მოეხსენებოდეს, რომ ხსენებული რაზმი დაქირავებულია გზის მთავარი კომიტეტისაგან მხოლოდ იმ მიზნით, რომ სამგზავრო მატარებლებში წესრიგი დაიცვას, უბილეთოები არ გაატაროს და სხვა. ამ მიზანს რაზმი პირნათლად ემსახურება და ამან კიდევაც გამოიღო შესაფერი ნაყოფი: ის უწესობა, რომელიც გამეფებული იყო მატარებლებში, თითქმის მოისპო. ამის გამო შესამჩნევად იმატა გზის შემოსავალმაც. ამის დასამტკიცებლად მოვიყვან ორიოდე ციფრს. მარტო საქონლის და ბარგის გადაზიდვისაგან კახ. რკ. გზის შემოსავალი უდრის: ამა წლის იანვარში —14.622 მ. 45 კ., თებერვალში—18.698 მ. 38 კ., მარტში (რაზმმა დაიწყო მოქმედება პირველ მარტიდან)—46.518 მ. 35 კ., აპრილში—31.958 მ. 66 კ., მაისში—54.419 მ. 68 კ., ივნისში—53.998 მან. 47 კ.*).

თუ რაზმში ერთი, ან ორი პიროვნება გამოერევა ისეთი, რომელიც დასახელებულ მიზანს ღალატობს, ეს არ უნდა მიეწეროს მთელი რაზმის მოქმედებას. ასეთი პირები მართლაც აღმოჩნდენ ხოლმე, მარა ისინი დაუყონებლივ იქნენ გაძევებულნი გზის მთავარ კომიტეტისაგან, რომლის განკარგულებაშიც რაზმი იმყოფება.

ამნაირად, ბ-ნ გელაშვილის ბრალდება ამ შემთხვევაშიაც სრულიად უსაფუძვლოა და თუ მას რაიმე საბუთები მოეპოვება ვინმეზე, ვალდებული იყო ეცნობებია გზის მთავარ კომიტეტისათვის, რომელიც ებრძვის გზაზე ყოველგვარ ბოროტებას.

რაც შეეხება ბ-ნ გელაშვილის განცხადებას, „ჩვენ არა გვაქვს სურვილი რკინის გზის შინაურ საქმეში ჩარევის. უნდა დავიცვათ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ინტერესები"-ო და სხვა, ამაზე უნდა მოვახსენო მას შემდეგი: რაზმის გაგზავნა სადგურებზე იმ მიზნით, რომ სადგურის უფროსებს აუკრძალოს საქონლის მიღება გასაგზავნათ, არის რკ. გზის შინაურ საქმეებში ჩარევა.

გზაზე წესიერების დასამყარებლად უსათუოდ საჭიროა გზის მთავარ კომიტეტთან შეთანხმებით მუშაობა. წინააღმდეგ შემთხვევაში რკ. გზის რაზმსა და სამაზრო რაზმს შორის კონფლიქტები აუცილებელი იქნება.

კახ. რკ. გზის დამცველ რაზმის უფროსი უ. მგალობლიშვილი.

## ამხ. პილატე ახალაძე

ამა თვის თერთმეტს ერთმა ამხანაგმა სამწუხარო ამბავი გვაუწყა: ამხ. პილატე ვიღაც ბოროტ გამზრახველს მოუკლავსო.

განსვენებული ეხლა დაბრუნდა ფრონტიდან. ის გვარდიის შტაბმა გაანთავისუფლა 15 დღით. ის მიემგზავრებოდა საჯავახოში. სამტრედიაში ერთმა მგზავრთაგანმა შენიშნა ვაგონის სახურავზე გაციებული გვამი. უკანასკნელი აღმოჩნდა ამხ. პილატე.

ამიერ-კავკასიის კოოპერატივ. კავშირმა დაკარგა ერთი გულშემატკივარი და დაუღალავი კოოპერატიული მუშაკი.

სახალხო გვარდიამ ერთი უშიშარი, გულწრფელი გვარდიელი; ჩვენ კი მის ამხანაგებს რა გვეთქმის?

ჩვენში დაუვიწყარი იქნება მისი ხსოვნა. მშვიდობით!

ამიერ კავკასიის კოოპერატივთა კავშირის თანამშრომელთა **ჯგუფი**.

*) ასევე იმატა შემოსავალმა ბილეთებიდანაც.

---

### ამხ. იოსებ ნავროზაშვილი

კიდევ ერთი მსხვერპლი!

პირველი რაიონის სახალხო გვარდიამ და მასთან ნორჩ და ჯერ კიდევ გაუმაგრებელმა მეორე ბატარეამ, 20 აგვისტოს დაკარგა მედგარი, გაბედული, დაუზარებელი და ჯერ კიდევ სრულებით ახალგაზრდა, სიცოცხლით სავსე და ენერგიული მუშაკი, რევოლიუციის მედგარი დამცველი იოსებ პეტრეს ძე ნავროზაშვილი.

ამხ. იოსები იყო დაახლოვებით 32 წლისა, უბრალო ღარიბი გლეხის შვილი სოფ. მოხისის საზოგადოებიდან (გორის მაზრა). სიღარიბემ ის აიძულა ჯერ კიდევ 14—15 წლისას მიეტოვებინა სოფელი და მოაშურა ქალაქს. აქ ის მიღებულ იქნა რკინის გზის მთავარ სახელოსნოში. ეს სწორეთ ის ხანა იყო, როდესაც მუშათა შორის იყო ფარული წრეებში მუშაობა. ამხ. იოსების დინჯმა და დაკვირვებულმა ქცევამ მიიპყრო ამხანაგების ყურადღება. იოსები დაიახლოვეს, და აი, ამის შემდეგ ის მომზადებული შეხვდა 1905 წელს. იღებს მონაწილეობას სახელოსნოში „იაჩეიკების" ჩამოყალიბებაში, ავრცელებს ფართოთ როგორც პარტიულ, ისე არალეგალურ ლიტერატურას. იმის შემდეგ ის გამოდის სახელოსნოს გარეთაც და სხვათა შორის, აპყრობს ყურადღებას ნაძალადევის თეატრს, აქ ხედავს სცენის მოყვარეთა ნაკლებობას და 1908 წ. იწყებს მუშაობას სცენაზე. 1908—1914 წელს ის დაუღალავათ მუშაობს პოლიტიკურ ორგანიზაციებში. რუსეთის დიდი რევოლიუციის პირველი დღიდანვე იმას ირჩევენ მეთერთმეტე უბნის მოქალაქეთა კომიტეტში—მუშაობს კულტურულ და სხ. კომისიებში.

სდგება თავისუფლების დამცველი გვარდია ნაძალადევის რაიონში, ის პირველი ეწერება, და ეწევა აგიტაციას გვარდიის მნიშვნელობაზე. საჭირო შეიქნა გვარდიისათვის არტილერია, ის აქაც პირველი გადადის და თავის სურვილით ეწერება იქ.

არ დარჩენილა ფრონტი, რომ არ მიეღოს მონაწილეობა, ის იყო: არსენალის აღებაზე, გორში, თელავში, ქუთაისში, სადახლოში, ცხინვალში, სოხუმში და ეხლა კი მსხვერპლი გახდა დუშეთის.

ამხ. იოსებ! ამოდენა შენ ღვაწლს შენი ამხანაგები თავიანთ გულში ჩაიმარხავენ მომავალი თაობისათვის გადასაცემათ. პირველი რაიონის შტაბის და სახალხო გვარდიელთა მონდობილობით ვაცხადებ, ისინი ფიცს სდებენ შენს წინაშე, რომ ისინი არას დროს ძირს არ დაუშვებენ იმ წითელ დროშას, რომელსაც შენ შესწირე თავი, და ამ დიად საქმეს მიიყვანებენ ბოლომდე.

ეხლა კი მშვიდობით წყნარო მუშაკო იოსებ!

სოხო მ—ი.

## გზიდან

(დასასრული).

ამან აიძულა მღ. თუმანოვი გასულიყო საბჭოდან, რაც სასიამოვნოთ დარჩა საბჭოს საუკეთესო ნაწილს. მიუხედავათ ამისა ის მაინც გაიყვანეს მიმღებ კომისიის წევრად გაგრის ქონებისათვის. მან მაშინ წარმოადგინა ბნელი დეკლარაცია; თუ ის მიღებული არ იქნებოდა, ისე წევრობაზე უარს იტყოდა და ასეც მოხდა. თავის დეკლარაციაში ამტკიცებდა, რომ აფხაზეთის ყოველივე საქმე ეკუთვნის აფხაზეთის საბჭოს და თუ ძველ სახელმწიფოს რამე დარჩა აფხაზეთის ტერიტორიაზე ქონება, ესენი მიღებული და საკუთარი უნდა იქმნას აფხაზეთის ხალხისა და საქართველოს რესპუბლიკა ზედმეტია, ეს უკანასკნელნი კი ერევა ჩვენს საქმეშიო. რკინის გზა, ფოსტა, ქონება ყოფილი პრინცისა და სახელმწიფოსა და სხვა ჩვენი სრული საკუთრებაა და არა საქართველოს საზიაროო. საბჭო ღალატობს აფხაზეთის ხალხსო, სთქვა მან, როცა საქართველოს წარმომადგენლებს ნებას აძლევს რამეში ჩაერიონო. რატომ სტამბოლში სამშვიდობო მოლაპარაკება არ არის და ჩვენი წარმომადგენელი და ჩვენი ბედი ერთიან საქართველოს დელეგატებს აქვს მინდობილიო, კითხულობს თუმანოვი. თფილისში ტკბილი სიტყვები გვითხრეს—იცხოვრეთ როგორც გნებავთო და აქ კი ჩვენს ნებას არ ეკითხებიანო. მე ყველა ამის წინააღმდეგ პროტესტს ვაცხადებ აქ და სიმართლეს ხალხშიაც გავიტანო. თავისუფლებას მიჩვეული აფხაზეთის ხალხი ვერ შეურიგდება ახალ მონობას და იმედია თავის პროტესტს ძლიერი მოქმედებით გამოთქვამსო. თქვენ იჯექით აქ, მე კი ხალხში წავალ და ვნახოთ ვინ ვის დაამარცხებსო,— დაემუქრა მღ. თუმანოვი საბჭოს. მას შესაფერი პასუხი გასცეს საბჭოს წევრმა საზუაევმა და თავმჯდომარემ ვარლამ შერვაშიძემ. წევრის საზუაევის აზრით მღ. თუმანოვი შეუცდარ გზაზე დგას და აფხაზეთის ხალხს, რომლის სახელითაც ის ლაპარაკობს, დაღუპვის გზაზე აყენებს. ჩვენი საქართველოდან სრულიად ჩამოშორება ნიშნავს ჩვენს დაღუპვას, რადგან ჩვენ თავისთავად ცხოვრების მოწყობა არ შეგვიძლია და სხ. ნაცვლად თუმანოვისა ... აირჩია სხვა წევრი კომისიისა. თუმანოვი დამარცხდა. აქ უნდა ვთქვა, რომ თუმანოვი მარტო არ არის ამ კომპანიის დროს. მის გვერდით და მის უკან დგანან ბევრი ნაციონალ-შოვინისტები და ეწევიან თავიანთ ბნელ საქმეებს უფრო სიბნელეში, ფარულად, ვიდრე ღიათ, ნათლად. თუმანოვი უფრო მკაფიოდ ხატავს თავის შოვინისტურ პროგრამას და არ ფარავს თავის მისწრაფებას ძველი წყობილების აღსადგენათ. დღითი დღე საბჭო იყოფა ორ ბანაკათ—მემარჯვენე და მემარცხენეთ. ეს პროცესი სწრაფი ნაბიჯით მიექანება წინ, თუმცა ჯერ არც ერთი ბანაკი სრულიად ჩამოყალიბებული არ არის, ნათელი სახე ვერ მიუღიათ ვერც ერთს. ჯერ კიდევ არ ვიცით ვინ საითკენ გადაიბარგება ახლო მომავალში. ყოველ შემთხვევაში მეტი გამორკვეულობა ჯერ მემარჯვენეებს ემჩნევა. მემარცხენენი კიდევ ბურუსში არიან გახვეულნი. პირველი ნათელი შეჯახება ამ ორი ბანაკისა ამ დღეებში მოხდა. ასარჩევი იყო მინისტრი ჩვენ მთავრობაში გასაგზავნათ აფხაზეთის ინტერესების დასაცავათ. იქნა დასახელებული ორი კანდიდატი— კაპიტ. შერვაშიძე და პოლკ. ჩხოტუა. მემარცხენე ფრთისათვის არც ერთი ამ კანდიდატთაგანი მისაღები არ არის, რასაკვირველია: ორივენი ძველი რეჟიმის მოტრფიალენი არიან და ნაციონალ-შოვინისტები. პირველი კანდიდატი უკვე დამთავრებულ დაშუშებული ტიპია, მეორე კი დაუდგრომელი, ჩამოუყალიბებელი და, როგორც საზოგადოთ ასეთს დაუმუშავებელ პირთ სჩვევიათ, ტრიალებს თევზივით წყალში, ხან ერთი გვერდით ელავს, ხან მეორეთი და ხელში ძნელი დასაჭერია. მიუხედავათ ამისა, ის გახდა კანდიდატათ მემარცხენეებისა, რადგანაც მათმა ღირსეულმა კანდიდატმა ზახბაიამ უარი სთქვა. ჩამოუტარეს ხმები კანდიდატებს. მემარცხენენი დამარცხდენ—გავიდა შერვაშიძე. მოიმიზეზეს მცირე რიცხვობა კრებისა და კიდევ რაღაც წვრილმანობა და არჩევნები გადაიდო. ერთ თვალსაჩინო მიზეზად ის უნდა ჩავთვალოთ, რომ გუდაუთის ნაწილს არჩეული არ ჰყავდათ დეპუტატები საბჭოში და იმათი თითქო დაცდა იყო საჭირო, თუმცა ეს მიზეზი კენჭის ყრამდე მიღებული არ იქნა, რადგან გამარჯვების იმედი ჰქონდათ. დამარცხების შემდეგ ჩასჭიდეს მას ხელი მემარცხენეებმა. ყრილობა დანიშნული იყო გუდაუთის ნაწილისა 21 ივლისს. მეც ვიყავი ამ ყრილობაზე მიწვეული და იქ პირველად უნდა პირისპირ შევხვედროდი კრაზებს—ბალშევიკებს. კვირა დღე იყო 21 ივლისს, კარგი დარი. მშვენიერი თვალწარმტაცი მწვანე დიდი მინდორი, ყოფილი ეზო აფხაზეთის მბრძანებლის თ. შერვაშიძისა ს. ლიხნში მოფენილი იყო ხალხით. აუარებელი მათი ცხენები ჩამწკრივებულები იყვნენ მინდვრის ირგვლივ. განაპირას დგას ნანგრევი დიდი სასახლისა, მოშორებით მშვენიერი ციცხვი და მის ძირში დიდი, ფართო ფიქალი ქვისა. აქა იქ დარჩენილა ნაშთები ძველი ნებიერებისა და ფუფუნებისა, საერთოთ კი ყოველივე განადგურებულია და წარსული ისტორიის წიაღში. ზრდილობიანათ და წყნარად წამოიშალა ჩვენს მისვლაზე აფხაზეთის ხალხი. ირგვლივ მოხუცნი იდგნენ. ჩამჩურჩულა ერთმა მახლობელმა პირმა, რომ მოხუცებს ხელი მიმეცა, მეც მივესალმე სათითაოთ. მე ასეთი თავაზიანობა და ზრდილობა ხალხისა, როგორც აფხაზეთში ვნახე, არსად არ მინახავს. ზრდილობა, ზრდილობა და თავაზიანობა გარეგნული, გასაოცარია. მოდის ვინმე საპატიო პირი თავადი, ყველანი ჩუმად და უხმოთ ფეხზე დგებიან და თავს უკრავენ, თუმცა გულში კიდეც ეჯავრებოდეთ. ეს ზრდილობა ისე აქვთ თან შეზრდილი, როგორც რჯული, ვიტყოდი მეტსაც—რჯულზე უფრო ძლიერი აქ თავაზიანობაა ხალხისა. რჯულზე ისე მტკიცენი არ უნდა იყვენ აქ, როგორც სხვაგან მე მინახავს. აქ ხალხი რჯულს ადვილად იცვლის, ამ მხრით იმათ სრული თავისუფალი შეხედულება აქვთ. მიამბეს რა ადვილათ ხალხი გადადიოდა წინეთ მაჰმადიანობიდან ქრისტიანობაზე. მოისურვებდა თავადი ხოლმე და მისი გლეხები ყველანი დაინათლებოდენ. მაგ., საბუკ ანჩაბაძე „დაუსაქმებია" აფხაზეთის ეფისკოპოზს და ერთ დღეს 60 კაცი მონათლულა. თავადების ზეგავლენა გლეხებზე ხომ ყოველგან დიდი იყო, მაგრამ ისე დამორჩილებული, როგორც აქ, არსად არ იქნებოდა. აქედან უნდა წარმოდგებოდეს ის მოწიწება-მოკრძალება, რომლითაც ეხლაც ეპყრობიან მათ, მიუხედავათ იმისა, რომ თავადები ეხლა უფრო თავდაბალნი გამხდარან და გლეხებთან კარგად არიან განწყობილნი. მიზეზი თავადების ბატონობისა მოხუცმა ასე ამიხსნა. თავადის წყენება აქ არ შეიძლებოდა და ახლაც არ შეიძლება. არ შეუსრულე თავადს ყოველივე, რაც მოისურვა და მაშინ უნდა გამომშვიდობებოდა ასეთი ფერის თავის საყვარელ ხარს, ძროხას, ცხენებს და სხვა საქონელს. სამართალი თავადის ხელში იყოვო, სთქვა მოხუცმა. მოსამართლეებათ დანიშნავდა ის თავის ძიძისშვილს ან სხვა მის ყურ მოჭრილ ერთგულს და წინ და წინ ნაბძანები ქონდა თურმე, რომ უნდა გაემტყუნებია უთუოდ უფრო შეძლებული მოპირდაპირე, რომელსაც შესძლებოდა თავის დახსნა განსაზღვრული გამოსყიდვით, რომელსაც ბატონი დაადებდა. იმავე აფხაზეთის ეფისკოპოზის „დასაქმებით" საბუკს რუსული სკოლა გაუხსნია სოფლად და როდესაც ნებით შვილები შიგ არ მიყავდათ, ძალად აიძულებდენ. ამ სკოლამაც საბუკს დიდი ქონება შესძინა თურმე. მოჰყავდათ მასთან სხვადასხვა საქონელი, რომ შვილები სკოლიდან დაეხსნათ. საბუკიც ანთავისუფლებდა ერთს, მარა იჭერდა მეორეს, მესამეს და აძლევდა სკოლაში და იგივე გამოსყიდვა, იგივე საქონელი. დიდი ხანი არ არის მას შემდეგ, რაც ეს ყოფილა. ზრდილობის ქვეშ არ მოსჩანს შიში ბატონის წინაშე, ახლაც განაწყენებული თავადი არწივსავით დაემებს მათ საქონელს. მაგრამ ახლა ამ საქონელომანიაში დაბალი ხალხიც დახელოვნებულა და ხელცარიელი ისინიც სახლში აღარ ბრუნდება. ხელწამკრობით ხალხი აქ დაავადმყოფებულია და დიდი შრომა მართებს აფხაზეთის მოწინავე ხალხს მისი განვითარებისთვის, რომ კულტურული მუშაობა გააღვიოს ხალხში. ამ მხრით ბევრია გასაკეთებელი. სკოლები, ბიბლიოთეკები, სალამოსა და საკვირაო კურსები, ლექციები, წრეები, ერთი სიტყვით, ამუშავება დღეს მიძინებული აფხაზეთის ინტელიგენციისა, მისი გამოფხიზლება და ენერგიული საქმიანობა ესაჭიროება აფხაზეთს. აქ დაყოვნება ცოდვაა. მაგრამ მე უნდა მივუბრუნდე ლიხნის ყრილობას. სანამ ყრილობა გაიხსნებოდა იქნა გაგზავნილი კაცები კრაზებთან მახლობელ ტყეში, რომ ისინიც დასწრებოდენ ყრილობას. დაგვიანებით მოვიდენ 50 შეიარაღებული ახალგაზდობა და ისინიც დასხდენ. სწორეთ მე მაშინ გავათავე ჩემი მოხსენება რუსულათ. კრაზებმა მოისმინეს მხოლოდ ჩემი სიტყვის თარგმანი. არ მოსწონდათ ბალშევიზმის მკაცრი კრიტიკა, მარა არას ამბობდენ. ილაპარაკეს ბევრმა. ბოლოს მე მათ წინადადება მივეცი ხალხს შეერთებოდენ და ასე გამდგარნი ტყე-ტყე არ უნდა ეხეტებოდენ. მათმა ლიდერმა მიპასუხა ასე: ჩვენ და ხალხი ყოველთვის ერთად ვიყავით და ვართ დღესაც. მაშინ ხალხი სხვას ფიქრობდა და დღეს თუ ის აზრს შესცვლის, ჩვენც ისე მოვიქცევითო. ხალხს კი ჩვენი რესპუბლიკა და მისი კანონები მოეწონა მეთქი და იმედია თქვენც ამ გზას დაადგებით მეთქი. ამის შემდეგ მოხუცებმა გვითხრეს, ახლა ჩვენ ცალკე უნდა მოვილაპარაკოთ და პასუხი უნდა მოგცეთო და საბჭოში გასაგზავნი კაცებიც უნდა ავირჩიოთო. დიდი მიტინგი გაიყო სოფლებათ და შეუდგენ თათბირს. მთელი სამი საათი უცადეთ, მარა პასუხი ვერ მივიღეთ. თურმე კრაზები აჯერებდენ ხალხს, რომ დიდი ძალაა წამოსული მთავრობის ჯარზე თავდასაცემათ, უთუოდ ჩვენები გაიმარჯვებენ ამ ორ დღეშიო და მერე სხვანაირად მოგვიხდება ცხოვრების მოწყობაო. მართლაც იმავე ღამეს აჰვიტეხეს ბრძოლა სოჩისა და ტუაპსეს შუა. ეს ბრძოლა სამი ოთხი დღე გაგრძელდა და თქვენ უკვე იცით, რომ ბალშევიკები სრულიად დამარცხდენ და ბრწყინვალე გამარჯვება ერგო ჩვენს ჯარს. კრაზებმაც ალბათ ამის მიხედვით თავი ძირს დახარეს გუდაუთში და საბჭოში გამოგზავნეს 12 წევრი. მათ შორის თუმანოვმაც თავი იქ აარჩევია, ბალშევიკებში ეს მღვდელი თანდათან პოპულიარული ხდება. 21 ივლისს სალამოს ქ. გაგრაში სახალხო მოხსენება გავაკეთე და ნაჩქარევათ სოხუმში დავბრუნდი, რადგანაც იქვე გავიგე ჩვენ ფრონტზე სამხედრო მოქმედების დაწყება.

გუდაუთელი ახალი წევრები საბჭოში მოვიდენ და ხელახლა შეუდგენ მინისტრის არჩევას. ახლა მესამე კანდიდატიც მიემატა ორ პირველს. ეს იყო მღვდ. თუმანოვი: დაიდგა სამი ყუთი: შერვაშიძის, ჩხოტუას და თუმანოვის. შერვაშიძემ და თუმანოვმა 4—4 ხმა მიიღეს, ჩხოტუამ კი 18. ამ რიგად მემარჯვენენი დამარცხდნენ ამ ხელად, მაგრამ მეორე დღეს 29—7 წილად ხვდა მათ დიდი გამარჯვება. თუმანოვმა დააყენა კითხვა სტამბოლის კონფერენციაზე აფხაზეთის წარმომადგენლების გაგზავნის შესახებ. წინეთ ეს საკითხი საბჭოში არავის ყურადღებას არ იპყრობდა, მაგრამ თუმანოვი არ ეშვებოდა მას და როცა მას ნიადაგი მოუმზადდა და ხელახლა დასვა, საბჭოსაგან დადგენილი იქნა გაეგზავნოს 2 დელეგატი და ისიც ორივე აირჩიეს — თუმანოვი და ბასარია, ეს მარჯვენა ხელი იყო შერვაშიძისა, ორივე თურქოფილები. მე-

მარცხენეებს ქონდათ 12 ხმა, სხვებმა კი შეაგროვეს 18 ხმა, ვამბობ, რომ შოვინისტური, გარკვეული და მარტივი ლოზუნგები უფრო ეკიდება ხალხს, ვიდრე მემარცხენეების პროგრამა.

აფხაზეთის ხალხს შორის არჩევნები უკვე დამთავრდა საბჭოსთვის. აირჩიეს უბნობით ყრილობებზე და არა საერთო ხმის მიცემით. დანარჩენ აქაურ ერებში იწყება მოძრაობა საერთო ხმის მიცემით არჩევნების მოსაწყობათ, არდგენენ განაჩენებს და გვიგზავნიან ჩვენცა და აფხაზეთის საბჭოსაც. საბჭოს შავი ნაწილი სრულიადაც არ ფიქრობს, რასაკვირველია, ამ საერთო საბჭოს არჩევას, მას აქვს თავისი აფხაზური საბჭო და გათავდა. მარა ცხოვრება აწვება მათ ჩინურ კედლებს და სადაა ამ ბნელეთში შეიჭრება სხივი მზისა. პატარა სხივი უკვე შევარდა გუშინ წინ. ჩვენების წინადადებით გადაწყდა იქნან მოწვეულნი სხვა ერების საბჭოების წარმომადგენელნი დროებით სამუშაოთ და საერთო არჩევნების პირობების დასამუშავებლად. ამ დღეებში შევუდგებით დემოკრატიული ერობის შემოღების საკითხს და ამისათვის საჭირო იქნება თფილისიდან ძალები, თუ გამოგვიგზავნეს. ძალიან გვიშლის ხელს შეთანხმების გატარებაში სამურზაყანო, სადაც ბალშევიკების ბატონობა და თარეში გრძელდება აპრილიდან აქამდის და ხალხს აუტანელ პირობებში აგდებს. ჩვენი ჯარი ემზადება შიგ შესვლას. მე კი განვიზრახე უსისხლოთ მორიგება და ამ მიზნით ოჩამჩირედგან დელეგაცია გავუგზავნე გალში ბალშევიკების შტაბს, რომ მათთან მოლაპარაკება მსურს. დათანხმდენ და დამინიშნეს 2 აგვისტო, როცა მე მარტო შევალ მათთან და ხალხთან მოსალაპარაკებლად და თუ ვერ მოვარიგე მერე სიტყვას დაუთმობ მხედრობას. იმედი დიდი მაქვს, რომ სისხლი არ დაიღვრება. ასეთი მშვიდობიანი საქმის გათავება აუცილებელია იმ პირობებში, რომელშიც ჩვენ ვიმყოფებით ახლა აქ.

ის. რამიშვილი.

## ს.-დემ. პარტიაში

**ფოთი.** 6 ივლისს, ფოთის ს.-დ. კლუბში მოეწყო სამოქალაქო პანაშვიდი გ. ვ. პლეხანოვის ხსოვნის პატივსაცემლად. კრება გახსნა ლ. კილურაძემ. სიტყვა სთქვეს ამხ. ი. გ. წერეთელმა და გ. ჩიტაიამ. გუნდმა შეასრულა სამგლოვიარო ჰიმნი და მარსელიეზა. ხალხი საკმაოდ დაესწრო. 7 ივლისს, ამავე კლუბის გამგეობის თაოსნობით, ადგილობრივ ცირკის შენობაში ამხ. ი. გ. წერეთელმა წაიკითხა იაფ-ფასიანი საჯარო ლექცია მომენტზე. ლექციიდან შემოვიდა 1632 მ. 50 კაპ. დარჩა 1051 მ. ეს შემოსავალი დარიგდა შემდეგნაირათ: 500 მ. გადაეცა ადგილობრივ წითელ გვარდიის შტაბს 200 მ. ს.-დ. კომიტეტს, 300 მ. გადაუგზავნეთ ტუაფსის ფრონტზე მყოფ ჯარისკაცებს და დანარჩენი 51 მ. დარჩა კლუბის კასაში.

28 ივლისს, ამავე ს. დ. კლუბში გაიმართა მუსიკალურ-ვოკალური საღამო. ხალხი ბლომათ დაესწრო. შემოვიდა სულ 5439 მ. 50 კ. წმინდა შემოსავალი უდრის 1927 მ. 30 კ. ამაში შედის მოქალაქე ლ. ზოდელავას შემოწირულება 600 მ., რომელსაც კლუბის გამგეობა უცხადებს მადლობას. საღამოს შემოსავალი განაწილდა შემდეგნაირათ: თფილისში გაიგზავნა გ. ვ. პლეხანოვის ფონდის გასაძლიერებლათ 700 მ. ტუაპსის ფრონტზე მყოფ ჯარისკაცებს კიდევ 300 მ. ახლად დაარსებულ „შენობის ფონდს“ რისთვისაც პირველი შემოწირულება 100 მ. შემოიტანა ამხ. ვ. ი. ქადეიშვილმა, 300 მ. გადაეცა ს. დ. კომიტეტს და დანარჩენი 327 მ. 30 კ. გადაირიცხა კლუბის კასაში.

კლუბის გამგეობა მადლობას უცხადებს ყველა ამხანაგებს და იმ პირთ, რომელნიც დაესწრენ ამ საღამოს და გაუწიეს დახმარება.

ს. დ. კლუბის გამგეობა.

## მუშათა შორის

**თფილისის რკ. გზ. დეპოს მუშათა ცხოვრებიდან.** ნათქვამია „კოკა წყალზე გატყდებაო“ და სწორეთ ასე დაემართა ჩვენ სპეკულიანტ მემანქანეებს და მათ თანაშემწეებს. როგორც აღნიშნული მქონდა წინა წერილში, ზოგიერთი მემანქანენი და მათი თანაშემწენი ეწევიან მეთქი სპეკულიაციას და მით ჩირქსა სცხებენ პატიოსან მშრომელებს, ნამეტანი გათამამდნენ და კიდევაც გაებნენ მახეში. 16 აგვისტოს ღამის მატარებლით № 4 დანიშნულნი იყვნენ მემანქანე პერვასი და გაგლოევი, მათი თანაშემწენი შილაკაძე და იმერლიშვილი. გაგლოევი და შილაკაძე მიდიოდნენ „რეზერვად“ ვაგონში, პერვასს კი მიჰყავდა მატარებელი. ადგილობრივ კომიტ. წევრმა, რომელიც იყო მორიგეთ, შენიშნა, რომ დეპოში დაიარებიან ვიღაცა უცხო პირები—მუსულმანები. მან ამას მიაქცია ყურადღება და კიდევაც დაიჭირა ნამალავათ წაღები შაქარი და პაპიროსები ტომრებით. ბ. გაგლოევი დიდიხანია ეწევა თავისი თანაშემწით სპეკულიაციას, მაგრამ ის კი არ ვიცოდით, თუ აქედანაც ნამალავად ეზიდებოდენ შაქარს და პაპიროსებს, რისთვისაც საჭიროა დასაჯონ კანონის ძალით. იმავ ღამეს მატარებლით № 3 მოვიდენ მემანქანე გორგაშვილი და შაქრუაშვილი და თანაშემწე სტუდ. ნაზაროვი, რომლებსაც ნამალავათ წამოეღოთ სხვისი ნავთი, გამოსატანში უნდა აეღოთ საფასური 5 მან. თფილისის სადგურზე, როდესაც პატრონი მისულიყო ნავთის წასაღებათ და მიეცა 5 მან., ბ. ნაზაროვს შეექნა ლანძღვა და ხმამაღლა ლაპარაკი: მაგ ნავთის გამოტანა ღირს არა 5 მან. არამედ 20 მან. მე არ შემიძლიან დაგანებო კითხე მემანქანესო. ბ. გორგაშვილმაც თავის მხრივ შეუყვირა და უთხრა ნაკლებ არ შეიძლებაო. ყველა ამის მოწამე იყო დეპოს კომიტ. წევრი ამხ. ქლენტი. როდესაც ფული გადასცა ბ. ნაზაროვს, მაშინვე სტაცა ხელი და დააკავა და ჩამოართვა ნავთიც. ორიოდე სიტყვა ბ. გორგაშვილზე; ეს ის გორგაშვილია, რომელმაც სახელი დაიმსახურა დეპო ნახჩევანში ნიკოლოზის მთავრობის დროსა და ამ თავისუფლების ხანაში ამხანაგებმა ბარგი აუკრეს დეპოდან. მაგრამ ბ. გორგაშვილმა დიდი ხვეწნით და ბოდიშის მოხდით თავი დაიინარჩუნა რკ. გზაზე და იმის მაგიერ, რომ პატიოსნად ემუშავნა, გაება სპეკულიაციის ქსელი და არ ერიდება არაფერსა და თავისი ქცევით წამლავს სხვებსაც. მაგრამ ბ. გორგაშვილს მეტი არ მოეთხოვება, რადგანაც მის წმინდათა წმიდას შეადგენს: კარტი, ბილიარდი და სხ. რითი უნდა დაიკმაყოფილოს ყველა ესენი თუ არა სპეკულიაციით. ასეთ ელემენტებს ალაგი არ უნდა ქონდეს ჩვენს რკ. გზაზედ, მით უმეტეს ახლა, როდესაც არა საიმედო პირები გამჟღავნებულია! საჭიროა მთავრობამ მალე გამონახოს, საშუალება და ყველა დათხოვნილებს მისცეს სალიკვიდაციო ფული და მით საშუალება მისცენ წასვლის იმ პირთ, რომლებიც წასვლას აპირობენ და უფულობის გამო ვერ წასულან. აგრეთვე საჭიროა რკ. გზის მილიციის უფროსმა მიაქციოს ყურადღება სახალხო მატარებლებს და განსაკუთრებით ეგრეთ წოდებულ „სლუჟებნოე ოტდელენიეს“, როგორც კონდუკტორებისა და „პრავადნიკებისა“, აგრეთვე მემანქანებისაც, სადაც ეზიდებიან როგორც უბილეთო ხალხსა, აგრეთვე სხვადასხვა ბაგაჟსა და ყველა ეს რომ მოისპოს, მე მგონია, აიწევს რკინის გზ. შემოსავალი, რომელიც ასე დაცემულია დღეს.

მეთვალყურე.

## პროვინცია

**აგარაკი ცემი.** აქაურ გლეხობას სამყოფი ქერნახული არ მოსდის და უბდება ახლოს მდებარე ტყე გაჩეხოს და ისარგებლოს. ამის შესახებ სოფელმა კომისარს მიმართა და კომისარმა აღუთქვა, რომ მიწის კომისია აქაც მალე მოვა და თქვენ სურვილს დააკმაყოფილებსო. კომისიის მოსვლამდე მოინდომეს ერთი მეორეში ხელშეკრულების დადება და ტყის მთავრობის ნება დაურთველათ გაჩეხა, მაგრამ აუხსნეს, რომ მთავრობის წინაამდეგ არ წასულიყვენ. ტყე რომ გაიჩეხოს, აგარაკი ცემი აღარ ივარგებს და ამას ვისგანაც ჯერარს ყურადღება უნდა მიექცეს. აქ ხშირად ხდება უწესოება, თოფების სროლა და სხვა. 14 აგვისტოს აქ ბ-ნ გეგუჩაძის მეთაურობით გაიმართა წარმოდგენა, ხალხი დაესწრო და კმაყოფილიც დარჩა.

სიმონა ახალშენელი

---

**სოფ. ზანათი** (აბაშის რაიონი). აქ არ არსებობს არავითარი ორგანიზაცია. სოფელში ხშირად შეხვდებით კარტნარდის თამაშს დუქანში თუ წისქვილში.

აქ დაცემამ და ყაჩაღობამ იჩინა თავი. ამას წინეთ ღამის 12 საათზე დაეცენ ასი წლის მოხუცს იოსე გუნიას, რომელსაც ფული არ აღმოაჩნდა და სცემეს, შემდეგ გაიტაცეს მისი შვილიშვილი 10 წლის ბავშვი, რომელიც ბევრი წვალების შემდეგ გზაზე გაუშვეს. ამ ყაჩაღებს კვალ და კვალ მისდიეს მეორე დღეს, რომელიც როგორც გამოირკვა კვალიდან უნდა დაეჭირათ კიდეც. ერ. ოდიშარია და სხვები ოდიშარიები სამი ოთხამდე, მაგრამ საქმე მიაფუჩეჩს. დროა აილაგმოს ის პირები, ვინც იყვენ შემჩნეულნი და გამოაშკარავდეს საზოგადოების წინაშე.

ერ.

---

**ყარაიაზი.** იქნებ ბევრმა არც კი იცოდეს ყარაიაზის ბუნებითი სიმდიდრე და მისი მნიშვნელობა საქართველოსათვის. თავის სარწყავი არხებით, რომლითაც მოფენილია ყარაიაზის ველი, იგი წარმოადგენს პურის ნამდვილ ბეღელს, რომელსაც შეუძლიან ყოველ წლივ თფილისი მაინც გამოკვებოს. არსად, ქართლსა და კახეთში მიწა შედარებით იმდენს მოსავალს არ აძლევა, რამდენსაც აქ. აქაური ხორბალი შინდის კურკის სიმსხოა; ახლა აიღეთ ბოსტნეულობა: საზამთრო, ნესვი, ბადრიჯანი, პომიდორი, რომელთაც აუარებლათ აწვდის თფილისს. ყარაიაზის ჭალა მდიდარია ნადირითა და ტყით. დღეს ყოველივე ეს თითქოს დავიწყებას არის მიცემული. ყარაიის ჭალა ავაზაკთა ბუნაგათ არის გადაქცეული. ესენი მეტ წილათ მტკვარ გაღმიდან, ადერბეიჯანიდან, არიან გადმოხვეწილნი. მტკვრის მარჯვენა ნაპირას, ფოილოსა და ხრამის მტკვართან შესართავისშუა, მდებარეობს სოფელი შიხილო—ზევითი და ქვევითი—ბუდე ყოველგვარ ავაზაკთა. ეს შიხილოელებია შიშის ზარს რომ სცემენ. ზამთრობით ამათი საქონელი დავით გარეჯისა და ნათლისმცემლის მონასტრების გარეშემო დგება გამოსაკვებათ. აქ იყრიან თავს მრავლათ აყაზაკები და აქედან აწყობენ თავიანთ შავ საქმეებს. ესენი იყვნენ აზამბურის საქონელი რო გარეკეს; ამათვე დაძარცვეს და დახოცეს ვაზიანთან მწყემსები; ამათ გაძარცვეს მონასტრები გარეჯისა და ნათლის მცემლისა და ტრაპეზის საფენები სახლებში სუფრებათ უფარიათ დღესაც. თვით ყარაიაზის მცხოვრებთაც ხომ მოსვენებას არ აძლევენ; და ამოდენი ბოროტების ჩამდენნი დღევანდლამდის დაუსჯელათ თარეშობენ. ვერ იქნა და ვერა, ჩვენმა მთავრობამ ვერ გაამაგრა ამ მხრივ ჩვენი საზღვარი და აქედან დღესაც გვემუქრებიან ავაზაკთა ბრბოები. ყარაიაზიდან გაქცეული რუსებისა და სხ. პურები ბლომათ დამკეს შიხილოელებმა, შეიტანეს შუა ტყეებში და არხეინათ დალეწეს. მიწათმოქმედების სამინისტროს რწმუნებულის მოთხოვნით თელავის ქართ. მე 8-ე პოლკის 14 კაცი და ყარაიაზის მილიციის 7 კაცი შეედია ტყეში 19 ივლისს ავაზაკების აღმოსაჩენათ. ასტყდა ძლიერი სროლა, რომლის დროსაც ჩვენ მოგვიკლეს ერთი ჯარისკაცი და ერთი თათარი მილიციონერი. ჩვენ იძულებული ვიყავით უკან გამოვსულიყავით. ამის შემდეგ ავაზაკები უფრო გათამამდენ. ღამე გამოდიან ტყიდან და მახლობელ თათრის სოფლებიდან, ნაზარლო და ქესალოდან, ურმებით ეზოებში დადგმულ ძნას ეზიდებიან. პატრონები ამ დროს მთაში არიან გახიზნულნი და დაბრუნებისას ელოდებიან გალეწვას. ავაზაკები თავზარსა სცემენ საბრალო მებოსტნეებს, სცარცვავენ და თუ მეურმეებს მოასწრეს, საქონელს ართმევენ. 11 აგვისტოს, შუა დღისას, ათი შეიარაღებული შიხილოელი, ცნობილ ქურდის კარა მამადი ქაზუმ ოღლის მეთაურობით დაეცა მებოსტნეებს მე 10-ე არხზე, დაძარცვა ისინი და აქვე ქირაზე ჩამოსული ორი ნავთლუხელი მეურმე თავის ურმებით თან წაიყვანა ტყეში. არ ვიცით რა ბედი ეწვიათ მათ. ადგილობრივი ადმინისტრაცია უძლურია მათ სადევნელათ. 45 მილიციონერის შტატი აქვთ, მილიციონერი კი ათი თერთმეტი კაცია. ჯერ ადგილის საფრთხე და ახლა ჯამაგირის სიმცირე (ცხენოსანს 216 მან. თვიურათ) სამსახურში არავის იზიდავს. თელავის პოლკის ასეული ყარაიაზის სადგურში სდგას ვაგონებში და პურისა და თივის მოკრებას დარაჯობს, ათასში ერთხელ ჯავშნიანიც გვეწვევა ხოლმე, მაგრამ მან ავაზაკების დევნაში რა დახმარება უნდა გაუწიოს. ადგილობრივად ძალა კი არ არსებობს. საცდელი მინდვრის შესანიშნავი შენობები, რომელიც ჩვენი ჯარისათვის მშვენიერი სადგომი იქნება, დღესაც ადერბეიჯანის ჯარის შტაბათ ითვლება. მათს აფიცრებს, რომელთა რიცხვში ოთხი ხუთი ქართველია, ეტყობა ეძნელებათ განცხრომით ცხოვრების გამომშვიდობება და ადერბეიჯანში გადაბარგება. ან რას შეეპოებიან ვისმეს: ჰხედავენ ქვეყნის უპატრონობას და სარგებლობენ. ადგილობრივი თათრობა ერთგულია ჩვენი, მხოლოდ უმოქმედობა მთავრობისა ეჭვებს უღვივებს: თვითონაცა სწყინთ და სულ ელიან. ახლა შემოდგომაზედ თუ მთავრობამ ყურადღება არ მიაქცია შიხილოელები თავიანთ ნებით ისევ მონასტრების ადგილებში გამორეკენ ცხვრებს და უფრო აუჯეგენ ისედაც აწეწილ საქმეს. საჭიროა საზღვრის სადარაჯოების მოწყობა. აგრეთვე საჭიროა გარე კახეთის საზამთრო ადგილები მთავრობის წინადადებით დაიჭირონ მოხევეებმა და გუდამაყრელებმა, რომელნიც ამ არეულ დროს ყიზლარისკენ ვერ გარეკავენ ცხვრებს. ამ ადგილებს მდიდარს წყლითა და ბალახით, საქონლისთვის თვით შირაქიც ვერა სჯობია. მთიულთათვის კი ამ ზამთარსვე საძოვარი მეტად საჭირო იქნება.

ყარაიაზიდან ხუთას კომლამდი რუსობა გადიხვეწა. დარჩათ მშვენივრათ მოწყობილი სახლ-კარი. იგი ზოგი ცარიელია, ზოგიც თვითნებათ თათრებს დაუჭერიათ. მთავრობას დასათვალიერებლათ ჯავახელი ქართველები გამოეგზავნა—თუ მოეწონებათ დასახლდითო. ჩამოვიდნენ—მოეწონათ, მაგრამ რომ გაიგნეს ადგილობრივი მდგომარეობა ასე სთქვეს: ლომს პირიდან გაუხლტით და ახლა მგლებს როგორ ჩაუცვივდეთო. საჭიროა ჯერ ძალა ვაჩვენოთ ყველას, დავიცვათ საზღვარი და შიგ შეუდგეთ აშენებას.

რ—ო.

---

**ს. გორა** (გურია) 11 აგვისტოს მოხდა წევრთა კრება გორას მომხმარებელ საზოგადოების „შეღავათისა“, რომელზედაც იყო საკითხი დასმული შესახებ საზოგადოების დუქნის მდგომარეობისა. კრებამ მოისმინა საგანგებო კომისიის მოხსენება დუქნის შესახებ და დაადგინა: 1) მოხდეს დუქნის ლიკვიდაცია; 2) აირჩეს სამი კაცისაგან შემდგარი სალიკვიდაციო კომისია, რომელსაც დაევალა დუქნის ქონების გაყიდვა, არსებული ვალების აღება და ჩოხატაურის რაიონის კავშირიდან საპაიო ფულის გამოტანა; 3) თუ ზემოაღნიშნული ფულის თანხა აღემატება ვალებს და შემოტანილ საპაიო ფულებს, ზედმეტი გადაეცეს გორა ბერეუულის სამკითხველოს. სალიკვიდაციო კომისიაში შემდეგი პირნია: გრიგოლ დევიძე, კოსმა უნგიაძე და მათე დევიძე.

ქ. ელისაბედიშვილი.

---

**ს. ხქანდი მუჯირეთი.** წასულ მაისის ოცდა-ექვს ახალგაზდა სცენის-მოყვარე სკანდელიძის ხელმძღვანელობით და ალექსანდრა კახიძის ინციატორობით გაიმართა წარმოდგენა ადგილობრივი სამკითხველოს სასარგებლოთ, რომელიც დაარსა დიომიდე ჩიქვილაძემ თავისი გარდაცვალებული ძმის დიდიმ ჩიქვლაძის სახელობაზე. წარმოდგენილი იქნა ორ მოქმედებიანი კომედია „გაცრუებული იმედები“ აზიანისა და ორი მოქმედებიანი დრამა „გლეხი კაცი“ სკანდელიძისა. მიუხედავათ იმისა, რომ ადგილობრივი მცხოვრებნი ჯერ კიდევ შეუჩვეველი არიან სცენას, რადგანაც წარმოდგენები აქ იშვიათია, ხალხი მაინც ბლომათ დაესწრო. წარმოდგენამაც კარგათ ჩაიარა და ხალხიც კმაყოფილი დაიშალა, გაყიდულ ბილეთებიდან ხარჯების გარდა წმინდა შემოსავალი დარჩა ას-ცხრამეტი (119 მან.) რომელიც უკვე გადაეცა ზემოხსენებული სამკითხველოს გამგეობას, მაგრამ სხვადასხვა მიზეზების გამო დღემდე გამოცხადებული არ ყოფილა.

ჩვენ რაიონში უკვე გამოცხადებულია ერობის არჩევნები, მაგრამ ჯერ არჩევნების დღე არ არის დანიშნული, ურიგო არ იქნებოდა, რომ ამ არჩევნებისთვის ჯეროვანი ყურადღება მიაქციოს ვისაც ჯერ არს და სადაც არ იციან თუ რა მნიშვნელობა აქვს ამ არჩევნებს, იქ არჩევნების დროს გამოცდილი მოლაპარაკე გაგზავნოს, რომ აუხსნას ადგილობრივ მცხოვრებლებს მათთვის ფრიად საყურადღებო არჩევნების მნიშვნელობა. აუცილებლად საჭიროა გამოცდილი ამხსნელი და მოლაპარაკე ამხანაგი ერობის არჩევნების დროს. თუმცა ჩვენ სოფელშიაც მოიპოვებიან ისეთი ადამიანები, რომლებსაც შეუძლიანთ საკითხის ახსნა გადაცემა, მაგრამ ორში ერთია, ან არ სურთ და ეზარებათ, ან არა და ხომ მოგეხსენებათ ძველი ანდაზა; „შინაურ მღვდელს შენდობა არა აქვსო“.

ეგრეთ წოდებულ „ბალშევიკურ“ გამოსვლებს ჯერ ჩვენ სოფელში ადგილი არ ჰქონია, თუმცა-ღა ჩვენ სოფელში 70 კაცამდე ყოფილი ჯარისკაცები არიან, მაგრამ ესენი ყველანი თავიანთ პატიოსან შრომას დაუბრუნდენ ბრძოლის ველიდან ჩამოსვლისთანავე.

წელს ჩვენში მოსავალს კარგი პირი უჩანს, პურის ყანები უკვე მოიმკო და გალეწეს კიდეც, გამოსავალი საშუალოა, სიმინდის ყანები ჯერჯერობით კარგ მოსავალს გვპირდება, ვენახის ვაზი კარგია, მაგრამ შარშანდელათ ბევრი ნაყოფი არ ასხია, რამოდენიმე აგვისტოს ნაცარმა ძლიერ აზარალა გოგირდის უქონლობის გამო.

სქანდელი გაშა ბაქურა.

## წერილი რედ. მიმართ

პასუხად ბატ. კოსტა დავ. შარაშენიძეს.

„სოციალ-დემოკრატ“-ის 332 № ში თქვენ იწვევდით განსვენებულ ჩემს ძმას (ი. ულ) ვანო ულენტს სამედიატორო სამართალში ცილის წამებისათვის იმ წერილის გამო, რომელიც მოთავსებული იყო „ერთობის“ № 113-ში. მე არაფერი არ მაქვს საწინააღმდეგო, პირიქით, მოხარული ვარ, რომ მეძლევა საშუალება ნათელვჰყო საქმის ვითარება. მე მზათ ვარ დაგიმტკიცო განსვენებული ჩემი ძმის მიერ წამოყენებული ბრალდებები. დღიდან ამ წერილის დაბეჭდვისა, გაძლევთ ათი დღის ვადას. ჩემის მხრით მედიატორეებათ ვნიშნავ: 1) ილია ეკის ძე კალანდაძეს და 2) მირიან გლახუნის ძე ბასილაიას. საქმის გარჩევა უნდა მოხდეს ჯვარცხმის ორკლასიან სასწავლებელში. გთხოვთ გამოცხადდეთ თქვენი მედიატორეებით აღნიშნულ ადგილზე განსაზღვრულ დროს. ბრალდებები იქ იქნას წამოყენებული. მედიატორეთა გარდაწყვეტილება უნდა გამოცხადდეს გაზეთებში. მტყუანმა მხარემ უნდა გადაიხადოს 100 მანეთი საქველმოქმედო მიზნით. ყოველივე ხარჯი უნდა იკისროს მტყუანმა მხარემ.

დიმიტრი ლუკას ძე ულენტი.

## ცნობები

ჩემი შვილი თეოფილე ილარიონის ძე დოლიძე მსახურობდა ქ. თფილისში მეხუთე ქართულ პოლკში მე-10 როტაში მონაწილეობა მიიღო ბათომის დაცემის დროს ბრძოლაში. თუ ვინმემ რამე იცის მის შესახებ, ვსთხოვ მაცნობოს შემდეგი მისამართით: ჩოხატაურში ევტიხი კაცაძეს, ილარიონ ესეს ძე დოლიძისათვის.

## ფოსტა

ალ ბურთიკაშვილს. შემოიარეთ რედაქციაში.

## რკინის-გზის მიმოსვლა.

თფილისიდან გავა:
(თფილისის დროით).

| | | | | საათ. | წ. |
|---|---|---|---|---|---|
| ფოთისკენ | № | 23 | დილის | 7 | 50 |
| „ | № | 3 | ღამის | 10 | 30 |
| ქუთაისისკენ | № | 9\|10 | საღამ. | 7 | 17 |
| განჯისკენ | № | 4 | ღამის | 11 | 10 |
| „ | № | 8 | დღის | 3 | 35 |
| სანაინისკენ | № | 4\|3c | დღის | 1 | — |

თფილისში მოვა:

| | | | | საათ. | წ. |
|---|---|---|---|---|---|
| ფოთიდან | № | 24 | შუად. | 12 | 47 |
| „ | № | 4 | საღამ. | 6 | 54 |
| ქუთაისიდან | № | 11\|12 | დილის | 6 | 53 |
| განჯიდან | № | 3 | საღამ. | 4 | 30 |
| „ | № | 7 | დღის | 8 | 30 |
| სანაინიდან | № | 4c\|3 | დილის | 11 | — |

**დავკარგე** 22 აგვისტოს სადგ. გორიდან სადგ. თფილისამდე 445 მანეთი ფულათ, ჯარისკაცობის თავისუფლების ბილეთი, საპენსიო წიგნაკი, რკინის გზის ბილეთი სამხედრო უწყებიდან მოცემული ფოტოგრაფიული სურათით, პირობის ქაღალდი და უბის წიგნი. მპოვნელს ვსთხოვ იწამოს ღმერთი და დამიბრუნოს უკან შემდეგი მისამართით: სად. მოლითი, სოფ. ვახანი (შორაპნის მაზრა), მაქსიმე ივანეს ძე კუპატაძეს. მომტანი მიიღებს საჩუქარს.


**ექიმი მ. ფ. [illegible]ბლიშვილი**
იღებს ქალების და ქირურგიულ [illegible] დილის 9—11 საღამოს 5—7 [illegible] მისამართი: [illegible] ქუჩა 41 [illegible] (24

**ექიმი ი. ბ. კონიევი.**
იღებს შინაგან სნეულებით ავათმყ[...] საღამოს 5—7 საათამდე. ვერა, ვარ[...] უბნის ქ. № 3. (24—1[...]

**კ ე რ ძ ო
მიხეილის სამკურნალო**
მუდმივი ლოგინებით. ავმდმყოფების[...] ლება ყოველ დღე დილის 10 საათ[...] მიხეილის პროსპექტი, 167.

**ქალ. ქუთაისში**
(მიხეილის ქუჩაზე, წითელ ხიდთან)
ქირურგიული და ქალთა სნეულ[...] საავათმყოფო სამშობიარო გან[...] ფილებით.
დასაწოლ ავათმყოფს იღებენ ყო[...] დროს. (24

**ექიმი ვ. მ. მუხაძე**
იღებს სდლოსტაქრო ავათმყოფთ საღ[...] 5—6 საათამდე კვირა დღის გარდა, [...] სამართი: დიდი მთავრის ქ. № 57, [...] ცერთა ეკონომიური საზ. შენობის [...] დმპირ, სახ. ივანიშვილისა. ტელ. № 5—

**ექიმი ნ. ი. მახვილაძე**
იღებს სპეციალურად—მალარიით ([...]ბა) დამისი შედეგებით დასნეულებ[...] სისხლის ნაკლებობით, გულისა, ფ[...]ტვისა, ქარებით და სხვა შინაგან სნე[...]ლებით ავათმყოფთ ყოველ დღე სა[...] მოთი 5—7 საათამდე. ელექტრიზაც[...] და მასსაჟი. მისამართი: მოსკოვის ქ. № [...] ზემელის აფთიაქის მახლობლად.

**ექ. ქალი რ. ბ. შიშლო-ხაბაშვილი**
მედიცინის დოქტორი ჟენევის უნივ[...]სიტეტისა და ედინბურგის მედიკურ-ქირურგიულ კოლლეჯისა. იღებს ყოვე[...] დღე შინაგან, ქალურ და ვენერიულ ავადმყოფთ და იძლევა ხაზებით და[...]გებას. სიფილისის წამლობა ახალი [...] თოდებით. დილის 10—12 ს. და საღამოს 6—7 ნახ. საათამდე. სერგიევის ქ. (სოლოლაკი) სახლი № 9. ტელ. 14—7



## განცხადება

კვირას, 25 მარიამობისთვეს, დილის 11 საათზე შესამოს განყოფილების ეზოში აქც. საზოგ. გ. გ. ადელხანოვის ქარხნის მუშათა კოოპერატივის გამგეობა იწვევს წლიურ საზოგადო კრებას. განსახილველია შემდეგი საკითხები:
1. გამგეობის მოხსენება.
2. ინსტრუქტორის მოხსენება ანგარიშის შესახებ.
3. 1917 წ. ანგარიშების დამტკიცება.
4. მოგების განაწილება.
5. მიმდინარე კითხვები.
6. გამგეობის არჩევნები და აგრეთვე სარევიზიო კომისიის წევრებ[ისა] და მათი კანდიდატებისა.

გამგეობა უმორჩილესათ სთხოვს ამ საზოგადოების წევრებს, რომ სუყველანი დაესწრონ, რადგან ეს კრება მეორეთ არის დანიშნული, კრება კანონიერათ ჩაითვლება, რამდენი წევრიც უნდა დაესწროს.

## ქ. გორი

კლუბის საზაფხულო ბაღში

კვირას, 25 აგვისტოს 1918 წ. (ახ. სტილ.) გაიმართება თფილისის მომღერალთ გუნდის მ ი ხ ე ი ლ ქ ა ვ ს ა ძ ი ს ლოტბარობით

# სახალხო კონცერტი

ბილეთები იყიდება კლუბშივე. დასაწყისი სრულ 9 საათზე. დაწვრილებით პროგრამაში. გამგე მომწობნი მ. ზ. კ. და კ. გოგიბედაშვილები.

## განცხადება

საპეკო კომისია ყოფილი პოლიციის, ეხლა მილიციის კოოპერატივი ამით აცხადებს, რომ კვირას, 25 აგვისტოს, დღის 12 საათზე, ეფიმოვის ცირკის შენობაში (მიხეილის პრ.), დანიშნულია წლიური საზოგადო კრება ხსენებულ კოოპერატივის წევრთა. დღიური წესრიგი:
1. აპეკის მოხსენება.
2. გამგეობის წევრთა არჩევნები.
3. არჩევნები სარევიზიო კომისიის და მათი კანდიდატებისა.
4. მიმდინარე საკითხები.

თუ აღნიშნული კრება არ შესდგება, მაშინ იმავე დღეს, 25 აგვისტოს პირველ საათზე დანიშნულია ხელმეორე კრება, რომელიც კანონიერათ ჩაითვლება რამდენი წევრიც უნდა გამოცხადდეს (33 პარაგრაფი წესდებისა). (2—2)

## უმუშევართა საყურადღებოთ

საქართველოს რკინის გზის შეშის საწყობში, შერემეტიევის ქუჩაზე, საჭიროა მუშები შეშის დასახერხათ და დასაპობათ. პირადათ მისამართი: ქ. თფილისი, საქართველოს რკინის გზის სამასალო ნაწილი, კუთხე ელისაბედისა და სადგურისა, 9 დან 3 საათამდე ყოველდღე, გარდა უქმეებისა. (3—2)

## განცხადება
## ბორჯომის წყლის მყიდველების საყურადღებოთ.

ჩვენს წარმომადგენლებთან როგორც თფილისში აგრეთვე ყველა საქართველოს რესპუბლიკის ქალაქებში იყიდება ბორჯომის წყალი დიდი ბოთლი თავისი ბოთლიანათ არა უმეტეს ორი მანეთისა. აგრეთვე ვაცხადებთ წვრილი მოვაჭრეების საყურადღებოთ, რომ ვინც ბორჯომის წყალს დიდ ბოთლიანათ ორ მანეთ ნახევარზე მეტათ გაყიდის მათ წყალი აღარ მიეცემათ. ვთხოვთ მყიდველებს, რომელმა სავაჭრომაც ზემო აღნიშნულ ფასზედ ზევით გადაგახდევინოთ, გთხოვთ გვაცნობოთ ბორჯომში ღია ბარათით.

10—6

პატივისცემით დ. ე. ქებაძე.


სოც.-დემ. პარტიის საოლქო კომიტეტთან მოეწყო გაფართოებული სეკრეტარიატი, რომელიც აძლევს პროვინციის ორგანიზაციებს პასუხს ყოველგვარ შეკითხვებზე. სეკრეტარიატი მოთავსებულია „ერთობის“ რედაქციის გვერდით, გოლოვინის პრ. № 12. აქვე ხდება პროპაგანდისტების ჩაწერა პარტიულ საქმეებზე სამუშაოთ. ბიურო ღიაა დილის 9—2 საათამდე, საღამოს 5—8 საათამდე. ტელეფონი № 16—62.

[illegible] № 1.